

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

K Կ 44.581
2

ՅԱՀԱԳՈՎՈՐՈՒՄ
ՑՈՒՑԱԿԱՆ

ՃԱՎԱՔԻ ԱՐԱՐԱՏԻ

ԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԱՐԱՐԱՏԻ

ՃԱՎԱՔԻ ԱՐԱՐԱՏԻ

Ч 44 581

၅၂

1. 112 X 100. 1. 130 100 13



ე. შესრულებელი, ვ. განებიძე



სოლომონ

და სიმონ გრიგორი

ჭავჭავაძე

K 44 581
2



გამოცემობა „საბჭოთა საკართველო“
თბილისი — 1975



614.213 (c.922) + 615.838 + 615.79 (c.922)

ეროვნული
სამცხე-შიდა


615.8 (C 41)
612.213 (47.922)
ფ. 309

ბოჩქობა (სუხოტის)

ბალნეოკლიმატური კურორტი ბორჯომი და
მისი სამკურნალო მინერალური წყალი კარგა-
დაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში,
არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მთელ მსოფ-
ლიოში.

წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარულ ნა-
შრომში მკითხველი გაეცნობა კურორტ ბორ-
ჯომის განვითარების მოკლე ისტორიას, აგრე-
თვე მისი ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო
ფაქტორის — მინერალური წყლის ფიზიოლო-
გიურ და თერაპიულ თვისებებსა და გამოყე-
ნების მეთოდებს. აქვე მოცემულია აგრეთვე
სხვა სამკურნალო ფაქტორების მოკლე დახასია-
თება.

ბროშურა ძირითადად განკუთვნილია კუ-
რორტზე ჩამოსული ავაღმყოფებისა და დამსა-
ვენებლებისათვის, ამიტომ მასში შეტანილია
ზოგიერთი პრაქტიკული ცნობა და რჩევა-და-
რიგება, რომელთა ცოდნა დაეხმარება მათ
კურორტული მკურნალობის წარმატებით ჩატა-
რებაში.



2) მონაცემები სამკურნალო ციცვალ უ. ჭავჭა-
ვა

005. — 232

— 359—74

M. 601 (08) — 71

ლორს

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975

კურორტის განვითარების ისტორიისათვის

„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესშე მინახავს... ჩემი აზრით, მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო და ღვთაებრივი ადგილია“.

3. ი. ჩაიკოვსკი

ბორჯომი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უძველესი კურორტია. იშვიათი ჭიმიური შემადგენლობის სამკურნალო მინერალურმა წყალმა, საუცხოო კლიმატმა, მომაჯადოებელმა ბუნებრივმა სილამაზემ და კეთილმოწყობილმა ჯანმრთელობის კერამ საკავშირო მნიშვნელობის ამ ბალნეოკლიმატურ კურორტს დამსახურებულად დაუმკვიდრა მსოფლიო სახელი. ამიტომა, რომ „კავკასიის მარგალიტი“, როგორც მას დიდი ხანია შეარქვეს, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან ყოველწლიურად ასიათებობით ადამიანს იზიდავს სამკურნალოდ და დასასვენებლად;

კურორტი ბორჯომი პატარა ქალაქია 16,700 მუდმივი მცხოვრებით და რაიონის ცენტრს წარმოადგენს. გეოგრაფიულად იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის თვალწარმტაც. ხეობაში, რომელსაც ბორჯომის ხეობას უწოდებენ.

საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ბორჯომი დაშორებულია 150 კმ-ით, ხოლო მოსკოვიდან — 2400 კმ-ით.



თბილისი-მოსკოვის რკინიგზის მაგისტრალთან იგი შემოწმებულია ბორჯომ-ხაშურის განშტოებით; მანძილი სადგურ ხაშურიდან ბორჯომ-ბალამდე 27 კმ-ია.

ბორჯომში ჩამოსვლა ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქებიდან, გარდა რკინიგზისა, ძალიან მოსახერხებელია თვითმფრინავითაც, თბილისის აეროპორტიდან ბორჯომამდე კომფორტაბელური ავტობუსების რეგულარული მიმოსვლაა დაწესებული. ამ მანძილის გავლას ავტობუსი დაახლოებით 3,5 საათს ანდომებს. ეს კი, არა თუ დამქანცველი, არამედ სასიამოვნო და სასურველიცა, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც სურს დატკბეს ბუნების სიმშვენიერით, მით უფრო ბორჯომის ხეობის სილამაზით, დაწყებული ტაშისკარიდან თვით ბორჯომ-ბალამდე.

კურორტის ტერიტორიას 6,5 კმ. კმ ფართობი უკავია, მთელ რაიონს კი დაახლოებით — 1200 კვადრატული კილომეტრი. ბორჯომს შუაში ჩაუდის მდინარე მტკვარი, რომელსაც ამ მიღამოებში ორი პატარა მთის მდინარე უერთდება — ბორჯომულა და გუჯარეთის წყალი (იგივე შავი წყალი). ეს მდინარეები კურორტს ხელსაყრელ კლიმატურ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს უქმნის.

სახელწოდება „ბორჯომის“ შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, რომელთაგან, სამწუხაროდ, დადგენილი არც ერთი არ არის, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ბორჯომის სახელწოდება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ომთან. ისინი მიიჩნევენ, რომ „ბორჯომი“ შედგება ორი სიტყვისაგან „ბორჯ“ (სპარსული სიტყვიდან „ბურჯ“ — მაგარი კედელი) და „ომი“ — ბრძოლა. მართლაც, ბორჯომის ვიწრო ხეობა წინათ ომების არენად იყო ქცეული და მაღალი მთებით თავი-

სებურ ბუნებრივ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამ „შეხედულებას დღეს ყველა როდი იზიარებს.

ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ბორჯომის“ ძირეული ნაწილი „ბორჯი“ ქართული სიტყვაა და ფესვს ნიშნავს („მცენარემ ბორჯი გაიდგა“), ამიტომ სიტყვა „ბორჯომის“ შინაარსი უმთავრესად ხის შტოებსა და ფესვებთან არის დაკავშირებული და იგი ასწლოვანი და ხშირი ტყეებით დაბურულ კუთხეში უნდა წარმოშობილიყო.

ბორჯომის ხეობას ისტორიულად თორის ხეობა, ანუ თორის მხარე ეწოდებოდა. თორი საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ და ეკონომიკურად ძლიერ მხარეს წარმოადგენდა და სამშობლოს საზღვრების დაცვის თვალსაზრისით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე და ჯარის სარდალი გამოსულა ამ მხარიდან. არსებობს ასეთი აზრიც, თითქოს წარმოშობით აქედან იყო და აქ მოღვაწეობდა გენიალური ქართველი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი.

საქართველოს ძველთაგანვე ურიცხვი მტერი ეხვეოდა. იგი, გარდა ბუნებრივი სიმდიდრისა, დამპყრობთა ყურადღებას თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც იქცავდა (საქართველოზე მსოფლიო სავაჭრო გზები გადიოდა). დღევანდელი ბორჯომის ხეობა საქართველოს წინააზიისა და დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ამიტომაც იყო, რომ მტერი სამხრეთის კარიდან, ე. ი. დღევანდელი ბორჯომის ხეობიდან, ცდილობდა ქართლის საზღვრების გადმოლახვას.

განსაკუთრებით დიდი ზარალი განუცდია საქართველოს ამ ნაწილს VII—VIII სს. ას წელზე მეტხანს აქ თარეშობდნენ ბიზანტიელები და არაბები. არც შემდეგში ყოფილა

მოსვენებული ჩვენი ქვეყანა. ამის უტყვი მოწმეებია ციხესიმაგრეთა ნაშთები, რომლებიც დღესაც მრავლადაა შემორჩენილი საქართველოში.

XI—XII საუკუნეებში საქართველო ისევ მომძლავრდა. განთავისუფლებული თორის მხარე აღორძინებულა თამარის მეფობის ხანაში, მაგრამ დროებით. XIII—XIV საუკუნეებში კვლავ მოეძალა მტერი საქართველოს.

XIII ს. 30-იან წლებში დაიწყო მონღოლთა ბატონობა, რომელიც ას წელზე მეტხანს გაგრძელდა. განსაკუთრებით მძიმე იყო თემურლენგის შემოსევა (1386—1403 წწ.), ქართველები არ უჩიგდებოდნენ მონობას და მედგარ ბრძოლებს უმართავდნენ დამპყრობლებს. გამუდმებულმა ომებმა აქაური მოსახლეობა სრულ ამოწყვეტამდე მიიყვანა.

XVI. ს. მიწურულში თორის მხარე თურქებმა დაიპყრეს. ისტორიაში შემონახულია ცნობები, რომ 1595 წელს ამ მხარის გადარჩენილი გატანჯული მოსახლეობა მთლიანად აყრილა და შიდა ქართლში. გადასახლებულა. დღევანდელი კურორტის ტერიტორია თურქედისა და საქართველოს ახალ სასახლვრო და საომარ ზონად გამხდარა. შედარებით მოგვიანებით, XVII საუკუნის ბოლოს ქართველებს თურქები ახალციხისაკენ გაუდევნიათ, მაგრამ მტკვრის ხეობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა და ერთ დროს აყვავებული მხარე ისე გავერანებულა, რომ იქ აღამიანის გავლაც კი საშიში ყოფილა.

მოძალებული მტრების მუდმივი შემოსევებისაგან ილაჭვაწყვეტილმა საქართველომ მხოლოდ რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების შემდეგ ჰპოვა მშვიდობა. რუსეთ-თურქეთის ბრძოლაში თურქეთი დამარცხდა და 1828 წელს სა-

ქართველომ დაიბრუნა თურქეთის მიერ XVI საუკუნეში ში-
 ტაცებული ახალციხის რაიონი. მშვიდობა დამყარდა თორის
 მხარეშიც. სწორედ აქედან იწყება მისი ისტორიის ახალი ხა-
 ნა. ამ პერიოდში დაცარიელებული და უდაბური ტყეებით
 დაფარული ლამაზი ხეობა ხელახლა დასახლებულა. ქართველ-
 მა თავადებმა ავალიშვილებმა თავიანთ საბატონო მამულებში
 დაბრუნეს ერთ დროს ქართლში გახიზნული ყმაგლეხები.
 რუსეთის მთავრობამ მტკვრის ხეობაში პოლტავისა და ჩერნი-
 კოვის გუბერნიებიდან უკრაინელთა 200 კომლი ჩამოასახლა.

1830 წელს თორის ხეობას პირველად ეწოდა ბორჯომის
 ხეობა.

ამრიგად, ბორჯომის ხეობაში XIX საუკუნის 30-იანი წლე-
 ბიდან განახლდა საუკუნეების მანძილზე შეწყვეტილი მშვი-
 დობიანი ცხოვრება, მაგრამ ისტორიული ბედუკუღმართობით
 იმდენად იყო გავერანებული საქართველოს ეს ულამაზესი და
 უმდიდრესი კუთხე, რომ შემდგომი თაობისათვის ძნელი გან-
 და წარსულის აღდგენა. ამ მხარის წარსულ დიდებაზე, ქარ-
 თველი ხალხის შრომისა და ბრძოლისუნარიანობაზე ღალა-
 დებს მატერიალური კულტურის შემორჩენილი ძეგლები ცი-
 ხესიმაგრეების, კოშკებისა და ტაძრების ნანგრევების სა-
 ხით.

ბევრი რამ ახლად იქნა „აღმოჩენილი“. ასეთი ბედი ეწია
 ბორჯომის მინერალურ წყაროსაც.

ის ტერიტორია, სადაც დღეს მინერალური წყლების პარ-
 კია გაშენებული, გასული საუკუნის დასაწყისში დაბურული
 და გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. რუსეთ-თურქეთის
 ომის წლებში ბორჯომთან ახლოს, ქ. გორში დაბანაკებულა
 ხერსონის გრენადერთა პოლკი. 1825 წელს ჯარისკაცთა



ჯგუფს, რომელიც ხე-ტყის მასალისა და შეშის დასამზადებელი ბორჯომის ხეობაში გაუგზავნიათ, — დაბურულ ტყეში. მდინარე ბორჯომულას ნაპირას შემთხვევით მიუგნია მიწიდან მოჩუხეჩუხე თბილი წყაროები. ჯარისკაცებს წყალი მოსწონებიათ და ბოთლებით წაუღიათ გორში. პოლკის მეთაურ პოპოვს კუჭის ავალმყოფობა ჰქონია. იგი ახლად აღმოჩენილი წყლით დაინტერესებულა, წასულა ბორჯომში და იმ მინერალურ წყალს განუკურნებია.

ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები უკვე იმდენად ცნობილი გახდა, რომ ამიერკავკასიის მთავარმმართებელ ე. გოლოვინს 1845 წელს თბილისიდან ბორჯომში სამკურნალოდ თავისი ავალმყოფი ქალიშვილი ეკატერინე წაუყვანია. ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლის ჩამოსვლისათვის სასწრაფოდ აუგიათ სააბაზანო და მსუბუქი ტიპის საცხოვრებელი სახლი. გოლოვინის ქალიშვილი ბორჯომში სრულიად განკურნებულა. ამის აღსანიშნავად მინერალურ წყლის წყაროებისათვის შეურქმევიათ საპატიო სტუმართა სახელები, ერთისთვის — „ეკატერინეს წყარო“ (ამჟამად № 1 წყარო), ხოლო მეორისათვის გოლოვინის სახელის მიხედვით „ევგენის წყარო“ შეურქმევიათ (ევგენის, ანუ № 2 წყარო არსებობდა № 1 წყაროს გვერდით), რომელიც გეოლოგიურა მოსაზრებით რამდენიმე წლის წინათ გაუუქმებიათ.

ბორჯომისა და მისი მინერალური წყლების ნამდვილი ისტორია კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბევრად უფრო დარე, შორეულ წარსულში იწყება. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ისეთ აყვავებულ და კულტურულ-ეკონომიურად მოწინავე მხარეში, როგორიც იყო თორი (ახლანდელი ბორჯომის ხეობა), ძნელი დასაჯერებელია, ადგილობრივ მოსახ-

ლეობას არ სცოდნოდა თბილი და სასმელად გემრიელოცფი
 კურნალო წყლების არსებობა.

მართლაც, მოგვიანებით სრულიად გამართლდა ეს ვარა-
 უდი. 1913 წელს მინერალური წყლების პარკში საკაპტაჟო
 სამუშაოების წარმოებისას „ეკატერინეს წყაროსთან“ მიწაში-
 აღმოჩნდა უხეშად გათლილი ქვის აბაზანები. პროფ. პ. ვინო-
 გრადოვ-ნიკიტინის აზრით, ეს აბაზანები გაკეთებული უნდა
 იყოს შორეულ წარსულში, არანაკლებ 1000 წლის წინათ,
 ანდა შეიძლება ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის პერიოდში.

ამ ფაქტის შემდეგ საეჭვოდ აღარ უნდა მივიჩნიოთ, რომ
 ბორჯომის მინერალურ წყლებს ქართველები ძველთაგანვე
 იცნობდნენ და სამკურნალოდაც იყენებდნენ. მაგრამ უცხო-
 ელი დამპყრობლების — რომაელების, არაბების, მონღოლე-
 ბის, თურქების, სპარსელებისა და სხვა ჯურის მოძალადეთა
 წინააღმდეგ ბრძოლებში შეწყდა სიცოცხლე საქართველოს ამ
 დიდებულ მხარეში და მასთან ერთად გაქრა მისი ისტორიაც.
 აი რით აიხსნება, რომ 150 წლის წინათ, 1825 წელს ხელახლა
 მოხდა ბორჯომის „ოფიციალური აღმოჩენა“, მისი „მეორეა
 დაბადება“.

1848 წ. კავკასიაში მეფისნაცვლად მ. ვორონცოვი დანიშ-
 ნეს. ბორჯომის სილამაზე, მისი მინერალური წყლების შესა-
 ნიშნავი სამკურნალო თვისებები და საუცხოო დასასვენებელ-
 აღგილები მხედველობიდან არც ვორონცოვს გამორჩენია. მას
 თავის საზაფხულო რეზიდენციად ბორჯომი აურჩევია და კი-
 დეც უზრუნიათ მისი კეთილმოწყობისათვის: მინერალუ-
 რი წყაროების ტერიტორიაზე და მის მაღლა, სადგურის
 პლატოზე პარკები გაუშენებიათ, მინერალური წყლის ბიუვე-
 ტები მოუპირკეთებიათ. აუგიათ ახალი სააბაზანო და საცხოვ-

რებელი შენობები. მდინარე მტკვარზე ბორანის ნაცვლად ზე
 ჩიდი აუგიათ. ამ კეთილმოწყობილმა სამუშაოებმა ისედაც მო-
 მაჯადოებელი ბუნებრივი სილამაზისა და მრავალფეროვანი
 სამკურნალო ფაქტორების მქონე ბორჯომი კიდევ უფრო
 ცნობილი გახდა და მრავალი სტუმარი მიიჩიდა. აქ სამკურ-
 ნალოდ ჩამოსვლა დაიწყო რუსეთის მაღალი ფენის შეძლე-
 ბულმა საზოგადოებამ, რომელიც მანამდე საზღვარგარეთის
 კურორტებზე მკურნალობას ამჯობინებდა.

ბორჯომი მალე ჩადგა ცნობილი კურორტების რიგში. ამა-
 ზე ნათლად მეტყველებს მეღიცინის დოქტორის ვ. პ. რავვის
 აზრი ბორჯომის შესახებ. გასული საუკუნის 90-იან წლებში
 გამოქვეყნებულ წიგნში „ბორჯომი — კავკასიის ვიში“ იგი
 წერს, ბორჯომი თავისი კეთილმოწყობით და სამკურნალო
 მნიშვნელობით ევროპის საუკეთესო კურორტების გვერდით
 შეიძლება იყოს დაყენებულიო. მისი შეფასებით, იმდროინდე-
 ლი ბორჯომი ბევრად ჭობდა ისეთ კურორტებს, როგორიცაა
 პიატიგორსკი, უელეზნოვოდსკი და ესენტუკი.

მეფის მთავრობის მოხელეები ერთგვარ მზრუნველობას
 იჩენდნენ კურორტ ბორჯომის კეთილმოწყობისათვის, მაგრავ
 ისინი მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამოდიოდნენ, ად-
 გილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვა ნაკლებად აწუხებდათ.

მეფისნაცვალი ვორონცოვი ოცნებობდა ბორჯომის ხელში
 ჩაგდებაზე, აღვილობრივ მოსახლეობას უნდობლად უყურებ-
 და და მისი აყრა-გადასახლების გეგმებს აწყობდა. საქმე
 რქამდეც კი მივიდა, რომ ვორონცოვის ინიციატივით 1852
 წელს მეფის ხაზინამ სასამართლო მოლაპარაკების გზით ბორ-
 ჯომის ხეობა რაღაც გროშების საფასურად შეისყიდა მისი
 აღვილობრივი მეპატრონეებისაგან — ავალიშვილებისაგან.

1853 წელს ვორონცოვმა ბორჯომში პოლტავისა და ჩერნი-
 გოვის გუბერნიებიდან უკრაინელთა 200 კომლი ჩამოასახლა,
 მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას ვერაფერი მოუხერხა. ახ-
 ლად გადმოსახლებული „მალოროსიელები“ ქართველებთან
 აღვილად შეთვისებულან, რითაც ვორონცოვის იმედები გაუ-
 ცრუებიათ. ბორჯომში დღესაც ცხოვრობს გაქართველებულ
 უკრაინელთა რამდენიმე ოჯახი.

1862 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნეს დიდი
 მთავარი მ. ნ. რომანოვი, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე
 II ბიძა. მასაც ძალიან მოსწონებია ბორჯომი და განუზრახავს
 მისი ხელში ჩაგდება. მ. რომანოვს 1871 წელს ბორჯომშა
 მავრიტანული ტიპის დიდებული სასახლე აუშენებია (საბ-
 ჭოთა ხელისუფლების წლებში ამ სასახლეში 1968 წლამდე
 სანატორიუმი „გორნოე უშჩელიე“ ფუნქციონირებდა, ახლა
 კი მის ადგილზე მრავალსართულიანი სანატორიუმის შენობაა
 აღმართული). სასახლის გახსნასთან დაკავშირებით ზეიმზე
 იმპერატორი ალექსანდრე II მოუწვევიათ. ბორჯომის ხილ-
 ვით ნასიამოვნებ და მეფისნაცვლის ერთგული სამსახურით
 კმაყოფილ იმპერატორს გულუხვობა გამოუჩენია: ბორჯომის
 მამული თავისი ტყეებითა და მინერალური წყლებით სამუდა-
 მო მემკვიდრეობის უფლებით მიხეილ რომანოვისათვის უჩუ-
 ქებია.

1869 წელს მდინარე მტკვარზე რკინის ხილი ააგეს. მინე-
 რალურ წყლების მმართველად მედიცინის დოქტორი ა. რე-
 მერტი იქნა მოწვეული, რომლის ინიციატივით კურორტის
 ცენტრში გაშენდა პარკი („რემერტის ბალი“, ამჟამად ოქტომ-
 ბრის რევოლუციის პარკი), მინერალური წყლების პარკში
 აშენდა მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა (ამ შე-

ნობაში ამჟამად მოწყობილია მინერალური წყლის ბიუვეტი, აქვეა მოთავსებული კურორტის საკონფერენციო დარბაზი და სამკითხველო). მ. რომანოვის მემკვიდრეს ნიკოლოზს საცხოვრებლად ლიკანი აურჩევია, სადაც მან ჯერ საუცხოო პარკი გააკეთა, ხოლო 1895—98 წლებში დიდებული სასახლე ააშენა; საკუთარი სასახლეების გასანათებლად ბორჯომში რომანოვებმა ააგეს ჰიდროელექტროსადგური (რომელიც სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მთელ რუსეთში). მოაწყვეს ჩანჩქერი, საცურაო აუზები, გაიყვანეს რკინიგზა და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამ სიკეთით მხოლოდ რომანოვები და მათთან დაახლოებული დიდგვაროვანი ფეოდალები სარგებლობდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კურორტები, მათ შორის ბორჯომიც, ხალხის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და შეუნელებელი ტემპით მიმდინარეობს კურორტი ბორჯომის მშენებლობა და კეთილმოწყობა. ოქტომბრის რევოლუციიმ რომანოვების ყოფილი სასახლეების კარები ფართოდ გაულო მშრომელ ხალხს. კურორტზე აშენდა კეთილმოწყობილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სასტუმროები, პანსიონატები, ბალნეოფიზიოსამკურნალოები, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები, სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა და სხვა ობიექტები. კეთილმოწყობილ იქნა მინერალური წყლის ბიუვეტები, ფართო ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ იქნა და ხალხის სამსახურში ჩადგა ახალი წყაროები, რითაც ათვერ მეტად გაიზარდა მინერალური წყლის საერთო დებეტი და დღევანდელი ბორჯომი საკავშირო მნიშვნელობის მოწინავე კურორტად იქცა.

ავადმყოფთა მკურნალობის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ რამდენიმე ასეული მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფიაა დაწერილი მუშაობა ბორჯომის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების, პირველ რიგში მისი მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებისა და ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმების შესწავლის მიზნით.

ბორჯომის სამკურნალო ფაქტორების შესახებ რამდენიმე ასეული მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფიაა დაწერილი. ჩატარებული მეცნიერული კვლევის ისტორია შეიძლება ორ პერიოდად გავყოთ:

I — ოქტომბრის რევოლუციამდელი და II — რევოლუციის შემდგომი. რევოლუციამდელ პერიოდში განვლილი 100 წლის მანძილზე შესრულებული შრომები (რომელთა რაოდენობა 60-მდე აღწევს) ჭირითადად მიზნად ისახავდა ბორჯომისა და მისი მინერალური წყლების პოპულარიზაციას. იმდროინდელი რუსეთის არისტოკრატია უმთავრესად საზღვარგარეთის კურორტებზე მკურნალობდა, რაც ერთგვარ მოდად იყო შეცემული. მეფის მთავრობა მიხვდა, რომ ამასთან დაკავშირებით უცხოეთში დიდიალი ოქრო გადიოდა, საჭირო იყო საკუთარი კურორტებისათვისაც მიეჭცია ყურადღება. ამით იყო ნაკარნახევი, რომ რუსეთის გამოჩენილ კლინიცისტებს დაევალათ ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებზე დაკვირვების ჩატარება და მათი პოპულარიზაცია. ეს მუშაობა ნამდვილი მეცნიერული გზით მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარიმართა და განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის დადგენილების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კურორტ ბორჯომში რაიმე სპე-

ციალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება არ გამოიყენება
ბობს, კურორტზე ძირითადად პროფესიული ლიკანის სა-
ბაზო სანატორიუმის გაზახე ყველა პირობაა შექმნილი მეც-
ნიერული კვლევა-ძიების თანამედროვე დონეზე წარმართვი-
სათვის. საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპი-
ის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, თბილისის სახელ-
მწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან, ხოლო უკანასკნელ წლებ-
ში გასტროენტეროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით
ინსტიტუტთან კურორტის მჭიდრო შემოქმედებითმა ურთი-
ერთობამ განაპირობა ბორჯომის სამკურნალო ფაქტორების
ღრმა მეცნიერული შესწავლა და დაავალებათა დიაგნოსტიკ-
სა და მკურნალობის ახალი მეთოდების პრაქტიკაში და-
ნერგვა.

კურორტ ბორჯომში ხანგრძლივი და მეტად სასარგებლო
მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი
მეცნიერები ა. ალადაშვილი, ი. კონიაშვილი, მ. მიქელაძე,
გ. დიდებულიძე, კ. ერისთავი, ს. ყიფშიძე, ვ. ანდოულაძე,
ო. სტეპუნი, მ. ტყემალაძე და სხვ.

ბორჯომის სამკურნალო ფაქტორებს თავიანთი მეცნიერუ-
ლი გამოკვლევები მიუძღვნეს ს. ყიფშიძემ, მ. ლეუავამ, ვ. გო-
კიელმა, მ. ნოდიამ, ა. ულენტმა და სხვ.

კურორტზე გაშლილია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.
კურორტზე მომუშავე პრაქტიკოსმა ეჭიმებმა მრავალი მეც-
ნიერული შრომა შეასრულეს. უკანასკნელი 15 წლის განმავ-
ლობაში 16 ეჭიმმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ბორჯომში ავადმყოფებს უტარდებათ კომპლექსური კუ-
რორტული მკურნალობა, რომელიც გულისხმობს უპირატე-
სად ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებას.

ბორჯომის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებს
მიეკუთვნება მსოფლიოში განთქმული მისი ძვირფასი სამ-
კურნალო მინერალური წყალი და საუცხოო კლიმატი. თავის-
თავად ეს ფაქტორები მეტად მაღალ თერაპიულ ეფექტს იქ-
ლევა, მაგრამ მკურნალობის მაქსიმალური შედეგების მისაღ-
წევად ფართოდ გამოიყენება მკურნალობის სხვა საშუალება-
ნიც — ტალახით მკურნალობა, სამკურნალო კვება, სამკურ-
ნალო ფიზკულტურა, ფიზიოთერაპიული პროცედურები და,
საჭიროების მიხედვით, მედიკამენტები.

მკურნალობის მთელი კომპლექსი ტარდება განსაზღვრულა
სანიტარულ-კურორტული რეჟიმის ფონზე.

მოკლედ გავეცნოთ ამ სამკურნალო ფაქტორებს.

კლიმატი

ბორჯომი მდებარეობს ზღვის დონიდან 810—850 მეტრის
სიმაღლეზე. იგი დაბალმთიანი კურორტების ჯგუფს მიეკუთვ-
ნება. კურორტი თითქმის ყოველი მხრიდან გარშემორტყმუ-
ლია მთებით, რომლებიც ძირითადად წიწვიანი ტყეებითაა
დაფარული. სამხრეთიდან მას ესაზღვრება თრიალეთის ქედი,
ხოლო ჩრდილოეთიდან ვახანის მთაგრეხილი, რომელიც ბორ-



ჭომს გამოყოფს იმერეთის რაიონებისაგან. ზოგიერთი განვითარებული საზღვრე მთის სიმაღლე 2000—2500 მეტრს აღწევს. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა ბორჯომს ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს უქმნის.


იგი დაცულია ძლიერი ატმოსფერული დინებათა შემოჭრისა და ტემპერატურისა და ნალექების მკვეთრი მერყეობისაგან. ჩრდილოდასავლეთით მდებარე აჭარა-იმერეთის ქედი აფერხებს დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების თავისუფალ გადმოადგილებას და ამით ამცირებს შავი ზღვის ჰიდროთერმულ გავლენას. ამიტომ ნალექების რაოდენობა ბორჯომში მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ამ ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე.

მტკვრის ხეობაში აღმოსავლეთის მხრიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრისას ჰაერის ტემპერატურა ერთგვარად დაბლა ეცემა, მცირდება ღრუბლიანობა და ნალექები. ამიტომაც ბორჯომში უმეტესად მშრალი, უღრუბლო და უქარო ამინდია.

კურორტის კლიმატის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადგილობრივ პირობებს — ზღვის დონიდან რელიეფის სიმაღლეს, მდინარეებისა და ირგვლივ არსებული მცენარეული მწვანე სამოსელის არსებობას. ამის გამო ბორჯომის კლიმატი ხასიათდება როგორც დაბალი მთის თბილი, ზომიერტენიანი კლიმატი, ტემპერატურის არამკვეთრი საღლელამისო მერყეობით. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს $9,1^{\circ}$ -ს. საშუალო თვიური ტემპერატურა ზაფხულის თვეებში $19,8—20,1^{\circ}$ -ის ფარგლებშია, ხოლო ზამთრის თვეებში ნულს ქვევით ბევრად არ სცილდება და $0,3$ ($-2,3^{\circ}$)-მდე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



კურორტ ბორჯომის საერთო ხელი.





ශ්‍රී ලංකා ජාත්‍යන්තර
සැක්ස සැලැම්පාල



කිඳී.

ეცემა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბორჯომში ზაფხული თბილი, მაგრამ უსიცხოა, ხოლო ზამთარი რბილი.

ატმოსფერული წნევა საშუალოდ შეადგენს ვერცხლის-წყლის სვეტის 695 მმ, ხოლო მერყეობა — 680—710 მმ-ს.

ტენიანობა ბორჯომში ზომიერია. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 78%-ს შეადგენს.

ბორჯომში ხშირია უქარო ამინდი. ქარის საშუალო სიჩქარე 1,3—1,4 მ/წ არ აღემატება. ქარი უმეტესად მტკვრის ხეობის გაყოლებით ქრის. ბორჯომისათვის დამახასიათებელია, რომ ქარი დილით და საღამოს დაღმავალი მიმართულებისაა. ამ თვალსაზრისით, ბორჯომში ჰაერის ვენტილაციისათვის კარგი პირობებია შექმნილი.

სალი ბორჯომში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 580 მმ-ს შეადგენს. შედარებით უფრო წვიმიანია გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი (მაისი, ივნისი). ყველაზე უღრუბლო და მზიანი დღეები ზაფხულში და შემოდგომითაა — ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით. წლის განმავლობაში ნათელ დღეთა რიცხვი 250-მდე აღწევს, მზის ნათების ხანგრძლივობა კი 2000 საათზე მეტს შეადგენს.

ზამთარში ნალექები უმთავრესად თოვლის სახით მოდის. პირველი თოვლი აქ ზოგჯერ ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში გამოჩნდება ხოლმე და შეიძლება აპრილამდეც კასტანოს. მდგრადი თოვლი ჩვეულებრივ დეკემბერ-მარტში გვხვდება, თუმცა ნიადაგის ზედაპირი ამ პერიოდშიც ხშირად თავისუფალია თოვლის საბურველისაგან. თოვლი აქ დიდი არ იცის. მისი სიმაღლე ცალკეულ დღეებში 20—50 სმ შეადგენს. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ 70—80 სმ-ის ფართისავს. აღრე

გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით, მართალია, კურორტული ტერიტორიაზე თოვლი არ არის, მაგრამ ირგვლივ მდებარე მთის მწვერვალებზე იგი არაიშვიათია. ამიტომ აქ აპრილსა და ოქტომბერში ზოგჯერ დილის ყინვებია.

თოვლის საბურველი ბორჯომის ხეობის მთიან ზონაში ბევრად უფრო მაღალი და მდგრადია. ბაკურიანში (ზღვის დონიდან 1700 მ) თოვლი მთელი ზამთრის განმავლობაში მდგრადია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სათხილამურო სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად.

ბორჯომის სხვადასხვა უბანში რელიეფური თავისებურების გამო განსხვავებული მიკროკლიმატია, ამ მხრივ ყველაზე უფრო უკეთესი პირობებია 26 კომისრების სახელობის პლატოზე და მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლში, განსაკუთრებით პროფესიული ლიკანის სანატორიუმის მიდამოებში. შედარებით უარესი მიკროკლიმატური პირობებია მდინარე ბორჯომულას ხეობაში, მინერალური წყლების პარკის მიღამოებში, სადაც ზამთარში მეტი ჭარი და სიცივეა, ზაფხულში კი, განსაკუთრებით საღამოს საათებში, ტენისნობა და სიგრილეა. სამაგიეროდ ეს ადგილები თავისი სილამაზით განსაკუთრებით მომხიბლავია და უამრავ დამსვენებელს იზიდავს.

ბორჯომი წლის ყველა დროში ლამაზია, მაგრამ შემოდგომის დასაწყისში კიდევ უფრო მომხიბლავი ხდება, როდესაც ტყის საფარველი სხვადასხვა ფერით ირთვება. მკურნალობისა და დასვენებისათვის აქ ყოველთვის კარგი პირობებია.

ჰიდროგეოლოგია და სამკურნალო
მინისტრის შტაბის ჩიმია

ბორჯომის რელიეფი, როგორც აღვნიშვნეთ, შედარებით როგორ და მრავალფეროვანია.

დედამიწის განვითარების ადრეულ პერიოდში კავკასიის ნაწილი და მათ შორის ახლანდელი ბორჯომის ტერიტორიაც ზღვით იყო დაფარული. მოგვიანებით, ზღვას ეს ადგილები დაუტოვებია და ხმელეთი გაჩენილა, და ბოლოს ვულკანური და ეროზიული პროცესების შედეგად დღევანდელი სახით ჩამოყალიბებულა.

ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანთან ახლოს, ახალქალაქის ზეგანზე ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე დღესაც შეიძლება ნახვა მუხერის ვულკანის ჩამქრალი კრატერისა. შორეულ წარსულში ამ ვულკანიდან ამოფრქვეული ლავა დაშვებულა ჩრდილოეთ ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის კალაპოტის მიმართულებით, მდინარე მტკვრამდე მიუღწევია და შეუქმნია სადგურის პლატო. სწორედ აქ, პლატოს შემაღლების ორივე მხარეს, ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის ტეობებში უპოვიათ გამოსავალი ბორჯომის ცნობილ მინერალურ წყლებს.

მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული გეოლოგიური კვლევა-ძიების შემდეგ (ბ. აბიხი, ა. კონშინი, კ. ფოხტი, კ. ობრუჩევი, ა. ოგილევი, ა. ოვჩინიკოვი, ა. ჯანელიძე, ს. ჩიხელიძე, პ. გამყრელიძე, ი. ბუაჩიძე და სხვ.) დადასტურებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყლების რაიონში გავრცელებულია ე. წ. ფლიშური ნალექები, რომლებიც აქ წარმოდგენილია კირქვიანი ქვიშაქვების, თიხების, მერგელების განვითარების შემდეგ და მათ შორის ახლანდელი ბორჯომის ტერიტორიაც ზღვით იყო დაფარული. მოგვიანებით, ზღვას ეს ადგილები დაუტოვებია და ხმელეთი გაჩენილა, და ბოლოს ვულკანური და ეროზიული პროცესების შედეგად დღევანდელი სახით ჩამოყალიბებულა.

ბის და ფიქლების მონაცვლეობით. ალაგ-ალაგ (მინერალური წყლების პარკის „შესასვლელთან) მაგმური ქანებიცაა, სადაც დიაბაზებია შეჭრილი დასახელებულ ქანებში. პლატოს მიღა-მოებში კი ვულკანური ნალექები უმთავრესად წარმოდგენი-ლია ანდეზიტების სახით.

გამოკვლევებით აგრეთვე დადგენილია, რომ ბორჯომის მი-ნერალური წყლის საბადო წარმოადგენს ერთ აუზს, საიდანაც გამოსავალს პოულობს ყველა წყარო და ბურღილი. ამით აიხსნება, რომ კურორტის ტერიტორიაზე არსებული სხვადა-სხვა წყაროს მინერალური წყლები ერთი ტიპისაა. მათი ქი-მიური შემადგენლობა ძირითადად ერთნაირია, განსხვავებუ-ლია მხოლოდ ზოგიერთი დეტალი და ტემპერატურა.

ამჟამად ბორჯომში მოქმედებს სამკურნალო მინერალური წყლის 10 ბურღილი:

№ 1 — (ყოფილი „ეკატერინეს წყარო“) ს. ორჯონიკიძის სახელობის მინერალური წყლების პარკში;

№ 2 — იქვე ახლოს, ამ პარკში შესასვლელთან, მდინარე ბორჯომულას მარცხენა ნაპირზე;

№ 4 ა — მდინარე გუჯარეთის წყლის ხეობაში, მინერალუ-რი წყლის ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე;

№ 41 ა — კურორტის ცენტრში, მდინარე მტკვრის მარც-ხენა ნაპირზე;

№ 101 — (ყოფილი № 5) პანსიონატი, „ბათურიონის“ ტე-რიტორიაზე;

№ 59 — ჯანდაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართვე-ლოს სანატორიუმის ტერიტორიაზე;

№ 1 — (საკაპტაჟო ბურღილი) პროფესიონების ლიკანის სანატორიუმის ტერიტორიაზე;

№ 54 — სოფ. ლიკანთან:

№ 25 — სოფ. ვაშლოვანში;

№ 38 — სოფ. ყვიბისში.

ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად ზოგიერთი წყაროსა და ბურღილის დებიტი შეიცვალა, მაგრამ მინერალური წყლების საერთო დებიტი თითქმის 10-ჯერ გაიზარდა და უკანასკნელ ხანს დღე-ღამეში 800.000 ლიტრს მიაღწია. დამტკიცებულია, რომ მინერალური წყლის საექსპლოატაციო რეზერვი (1.124.000 ლ დღე-ღამეში) ამის საფუძველზე კვლავ გრძელდება ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები წყლის საერთო დებიტის კიდევ უფრო გადიდებისათვის.

მინერალური წყლის ბურღილებზე დაკვირვებას აწარმოებს ბორჯომის ჰიდროგეოლოგიური სადგური, ხოლო მინერალური წყლის სანიტარულ-ბაქტერიოლოგიურ შემოწმებას — ლიკანის საბაზო სანატორიუმის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყალი სრულიად სუფთაა.

ბორჯომის მინერალური წყლების ქიმიურ შემაღენლობაზე დიდი ხანია აწარმოებენ დაკვირვებას. შედარებით სრულყოფილი ქიმიური ანალიზი პირველად გაკეთებულ იქნა თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის ფარმაცევტის ვილემსის ბიერ (1836). შემდეგში თითქმის სისტემატურად ახდენდნენ მის ქიმიურ გამოკვლევას. ყველაზე საუკეთესოდ ითვლება ანალიზები, რომლებიც გაკეთებული აქვთ პ. სტრუევს (1867), ა. შტაკმანს (1888), ფ. მოლდენჰაუერს (1892), ი. კუპცის (1904), ე. კარსტენს (1932), ვ. კრივოშიას (1935), ა. ვარშამოვას, ვ. ულუხუნოვს, ს. გეგეჭკორს (1936—1958), ვ. კრა-

სინცევას (1904), დ. ერისთავსა და ფ. ბროუნის (1964) და
სხვ.

ჩატარებული ანალიზები ადასტურებს, რომ ბორჯომის
მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა არ იცვლება.
მისი საერთო მინერალიზაცია (სხვადასხვა ბურღილის) შეად-
გენს 6—7 გრამს 1 ლიტრში. მთავარი შემადგენელია ჰიდრო-
კარბონატის და ნატრიუმის იონები. მათ გარდა, ბორჯომის
მინერალური წყალი შეიცავს რამდენიმე ათეულ ქიმიურ კომ-
პონენტს: კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს, კობალტს,
მანგანუმს, ალუმინს, სტრონციუმს, ჭლორს, ბრომს, იოდს,
ფტორს, სულფატს, სილიციუმის მუავას, მეტაბორის მუავას
და სხვ. მასში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი
თავისუფალი ნახშირორუანგი (1,1 გ/ლ-მდე) წყაროდან ახლად
აღებულ წყალს აქვს სუსტი რეაქცია ($pH = 6.8—7$), რომელიც
ნახშირორუანგის გაზის დაკარგვისას ტუტიანობისკენ იხრება
(იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1
ბორჯომის მინერალური წყლის (№ 1, ყოფილი „ეკატერინეს წყაროს“)
ქიმიური შემადგენლობა

იონები 1	გ/ლ 2	მგ. ექვ. 3	ეჭვ. % 4
კათიონები			
ნატრიუმი	1.4984	65 15	85.88
კალციუმი	0.0280	0.71	0.94
მაგნიუმი	0.4670	3.84	5.06

1	2	3	4
ქალციუმი რკინა	0.1200 0.0045	6.00 0.16	791 0.21
სულ	—	75.86	100,00
ანიონები			
ჰლორი ბრომი იოდი სულფატი ჰიდროკარბონატი	0.3884 0.0007 0.0002 0.0069 0.9620	10.94 — — 0.14 64.78	14.42 — — 0.18 85.40
სულ	—	75.86	100.00
არაფისორებული მოლეკულები			
ნახშირორეანგი CO_2 (თავისუფალი) ჰაეტადმჟავა H_2SiO_3 საერთო მინერალიზაცია	0.9896 0.0300 6.0770	— — —	— — —

თავისი იშვიათი ქიმიური შემაღენლობით ბორჯომის მინერალური წყალი ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანი წყლების ტიპიური წარმომადგენელია. მსგავსი შემაღენლობის წყალი მხოლოდ საფრანგეთშია (ვიში). გემოსა და ორგანიზმისათვის სასარგებლო ზოგიერთი ელემენტის შეცველობის მიხედვით ამ ორი წყლის შედარებისას სპეციალისტები უპირატესობას ყოველთვის ბორჯომს აძლევენ.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა მინერალური

წყლის ჩამოსხმა. მარტო 1973 წელს ბორჯომის ჩამომსხმელმა ქარხანამ გამოუშვა 280.000.000 ბოთლზე მეტი წყალი. ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება სარეალიზაციოდ.

უკანასკნელ ხანებში დამუშავებულია ბორჯომის მინერალური წყლისაგან ტაბლეტების დამზადების ახალი ტექნოლოგიური პროცესი, მისი მასობრივი დამზადება ახლო მომავალში კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ბორჯომის მინერალური წყლით მკურნალობას.

გორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური თვისებები და მისი სამკურნალოდ გამოყენების გეოგრაფია

რას ეწოდება მინერალური, ანუ სამკურნალო მინერალური წყალი? ბუნებაში თითქმის ყველა წყალი (გარდა გამოხდილი და წვიმის წყლისა) გარკვეული რაოდენობით შეიცავს მინერალურ მარილებს, მაგრამ ყველას არ შეიძლება ეწოდოს მინერალური. სამკურნალო ბალნეოლოგიაში დადგენილია, რომ ესა თუ ის წყალი მინერალურად რომ ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. მისი მინერალიზაცია (ერთ ლიტრ წყალში გახსნილი მარილების რაოდენობა) 1 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს, ანდა შეიძლება შეიცავდეს უფრო ნაკლები რაოდენობით მინერალებს, მაგრამ მძლავრმოქმედს, მაგალითად, ღარიშხანს არანაკლებ 1 მგ, რკინას 10 მგ, ბრომს 25 მგ და ა. შ. ან გაზებს — გოგირდწყალბარს არანაკლებ 10 მგ, ნახშირორუანგს 1 გ, რადონს — 10 გახეს ერთეულს და სხვ.

2. სამკურნალო მინერალურ წყლად ჩაითვლება ის წყალი, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც შეიცავს ფიზიოლოგიურად აქტიურად მოქმედ ორგანულ ნაერთებს, როგორიცაა გუმინური, ნაფტენური და სხვა ტიპის შენაერთები.

3. შეიძლება ჩამოთვლილი მონაცემები არ ახასიათებდეს, მაგრამ წყალს ჰქონდეს მაღალი ტემპერატურა (არანაკლებ 20—25°).

ვინაიდან ყველა მინერალურ წყალს არა აქვს სამკურნალო თვისებები, უმჯობესია იმ წყლებს, რომელთაც ვიყენებთ სამკურნალოდ, ვუწოდოთ სამკურნალო მინერალური წყლები.

მინერალურ წყლებში არაორგანული ქიმიური ნაერთები უმთავრესად იმყოფება არა მარილების, არამედ იონების სახით. ამ იონებს აქვთ გარკვეული ელექტრული მუხტი. დადებით მუხტიან იონებს ეწოდებათ კათიონები, უარყოფით მუხტიანებს კი — ანიონები. მინერალურ წყლებში ზოგიერთ ელემენტი შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება (ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და სხვ.), მათ მაკრო-ულემენტს უწოდებენ. ხოლო ისეთები, როგორიცაა სპილენძი, მანგანუმი, თუთია, კობალტი, ოქრო, დარიშხანი და სხვ., მიკროელემენტებია. მიკროელემენტების შემცველობა ზოგჯერ უმცირესია (ნიშნების სახითაც კი), მაგრამ ორგანიზმზე მათი მოქმედება მეტად აქტიურია. ისინი საჭიროა ფერმენტებისა და სხვა ნაერთების შესაქმნელად. ამიტომ მიკროელემენტების შემცველ წყლებს დიდი სამკურნალო თვისებები გააჩნია.

ორგანიზმზე ზემოქმედების თვალსაზრისით, გარდა ქიმიური შემადგენლობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალურ წყლების ტემპერატურას, მუავა-ტუტიანობას, უანგვა-ალდგე-

წით პოტენციალს, რადიაქტიურობას და სხვ. ამიტომათ, რომ მკურნალობის საბოლოო ეფექტი მიეწერება არა მხოლოდ რომელიმე ერთი კომპონენტის ან თვისების გავლენას, არამედ მათ ერთობლივ მოქმედებას.

როგორ ჩნდება ბუნებაში მინერალური წყალი? ამის შესახებ არსებობს რამდენიმე შეხედულება. მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ზიუსის მოსაზრება, რომელიც გულისხმობს, რომ დედამიწის სილრმეში არსებული გავარვარებული ლავიდან გამოყოფილი აირები (გაზები) გაივლის რა დედამიწის ქერქს, გზადაგზა ცივდება, ხდება მათი კონდენსაცია და სითხედ გადაჭცევა.

ასეთნაირად წარმოშობილ მინერალურ წყლებს იუვენალურ, ანუ „ქალწულურ“ წყლებს უწოდებენ. ამ შეხედულებამ თანდათანობით დაკარგა მომხრეები. ამჟამად უფრო აღიარებულია ვადოზური თეორია, რომლის მიხედვით, სამკურნალო მინერალური წყლები ჩნდება ატმოსფერული ნალექებისაგან და სხვა ზედაპირული წყლების მოხვედრით დედამიწის ქერქის სხვადასხვა ქანებში. ამ ქანებში ცირკულაციისას წყალში იხსნება ნაირგვარი ქიმიური ნივთიერება.

მინერალური წყლის ფორმირება ხდება განსაზღვრული წნევისა და ტემპერატურის პირობებში, სინათლის ზეგავლენის გარეშე. იმის მიხედვით, რა ქანებს გაივლის წყალი, მისი ქიმიური შემადგენლობა და მინერალიზაცია სხვადასხვაგვარია. რაც შეეხება წყლის ტემპერატურას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სილრმიდან და როგორი დებიტით ამოდის იგი გეოლოგების მიერ დადგენილია, რომ დედამიწის სილრმეში ყოველი 33 მეტრის შემდეგ ტემპერატურა 1° -ით მეტია, ე. ი. წყლის ტემპერატურის მიხედვით დაახლოებით შეგვიძლია

განვითარებული რა სილრმიდან ამოდის ესა თუ ის მინერალური წყალი.

გარდა მინერალური მარილებისა, დედამიწის სილრმეში მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად წყალში ჩნდება გაზები — ნახშირორუანგი, გოგირდწყალბადი, აზოტი, რადონი და სხვ. მათი ნაწილი შეიძლება ატმოსფერულ წყლებს ჩაჰვეს. წყალგაუვალ ქანებში მოხვედრისას მინერალური წყლების მოძრაობა ფერხდება, იგი გროვდება აუზების სახით, საიდანაც გამოსავალ გზას ნახულობს დედამიწის ზედაპირისაკენ. მოძრაობაში მას ეხმარება გამოყოფილი გაზებისაგან გაზრდილი წნევა, ხოლო გზის გაკვლევაში ვულკანური ძვრები (მიწისძვრები ზოგჯერ პირიქით მოქმედებს — გამოსავალ გზებს უხმობს მინერალურ წყაროებს).

მინერალური წყლების კლასიფიკაცია
შესახებ. ბუნებაში მოიპოვება სრულიად განსხვავებული ფიზიკური თვისებებისა და ქიმიური შემაღენლობის სამკურნალო მინერალური წყლები. საბჭოთა კავშირში მათი რიცხვი 4000-მდე აღწევს (საგულისხმოა, რომ საქართველოს პატარა ტერიტორიაზე აღრიცხულია 2000 სამკურნალო მინერალური წყარო). მრავლად წარმოდგენილი მინერალური წყლების უკეთ შესწავლისა და მოსალოდნელი სამკურნალო თვისებების ადვილად გამოცნობის მიზნით საბჭოთა კურორტოლოგების მიერა (ვ. ა. ალექსანდროვი, ე. ვ. ივანოვი, გ. ა. ნევრაევი და სხვ.) კოწოდებულია სხვადასხვა კლასიფიკაცია. ვ. ა. ალექსანდროვის კლასიფიკაციის მიხედვით მინერალური წყლები იყოფა 5 კლასად. ყველაზე უფრო გავრცელებული და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰიდროკარბონატული, ქლორიდული, სულფიდური და რთული შემაღენლობის წყლები.

მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური მოკლე და თვალსაჩინო დახასიათებისათვის პრაქტიკაში ფართოდ სარგებლობენ მ. გ. კურლოვის ფორმულით. ამ ფორმულაში ასახულია ცნობები გაზებისა და აქტიურ ელემენტთა შემცველობის, საერთო მინერალიზაციის, იმ კათიონებისა და ანიონების ურთიერთშეფარდების შესახებ, რომელთა შემცველობა 20 ექვ%-ს აღემატება. აქვე მითითებულია წყლის ტემპერატურა. აქტიური რეაქცია (pH) და დებიტი (ლიტრი დღე-ლამეში). ფორმულის მიხედვით აღვილად შეიძლება გავიგონესა თუ ის მინერალური წყალი რომელ წყალს ენათესავება, რომლით შეიძლება მისი შეცვლა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ბორჯომის მინერალური წყლის (№ 1 წყაროს) ფორმულას:

$$\text{CO}_3^{2-} \cdot \text{M}_{6 \cdot 1} \frac{\text{HCO}_3^{3-}}{(\text{Na} + \text{K})_{88}} \quad T = 33,8^{\circ}, \text{PH} 6,7 \text{ p. } 40000 \text{ c/d.,}$$

მისი წაკითხვის შემდეგ აღვალად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი სუბთერმული ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანი საშუალო მინერალიზაციის მქავე წყალია დღე-ლამეში 40000 ლიტრი დებიტით.

ბორჯომის სამკურნალო მინერალური წყლის გეცნიერული გადამზადების შედეგები

ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და სწორად არის შემუშავებული კურორტებზე მკურნალობის ძირითადი ჩვენებები და წინააღმდეგჩვენები.

ბორჯომის მინერალურ წყალს თავდაპირველად ძირითადად აბაზანების სახით იყენებდნენ. ამაზე მიუთითებს მინერალური წყლების პარკში გათხრითი სამუშაოების დროს მიწაში აღმოჩენილი ქვის აბაზანები. სასმელად იყენებდნენ თუ არა ამ წყალს, ამის შესახებ ძველი ცნობები შემორჩენილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ბორჯომის წყალს „ოფიციალური“ აღმოჩენის შემდეგ ძალიან ფრთხილად სასმელადაც ხმარობდნენ. მერე მალე დარწმუნებულან, რომ ამ წყლის სამკურნალო მოქმედება უმთავრესად მაშინ ვლინდება, თუ გას სასმელად ვიყენებთ. ასეთი დასკვნა, რომელიც ემპირიულ გამოცდილებას ეყრდნობოდა, შემდეგში ფართო საეჭიმო და მეცნიერული დაკვირვებებით სავსებით დადასტურდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დარწმუნდნენ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი ძვირფასი სამკურნალო საშუალებაა კუპ-ნაწლავის, ღვიძლისა და სანალვლე გზების, სუნთქვისა და საშარდე ორგანოების დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს.

ბორჯომისა და მისი მინერალური წყლის ავტორიტეტი და პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. გასული საუკუნის ბოლოს რუსეთის ეჭიმთა ყრილობამ მოისმინა ეჭიმ ა. შჩერ-ბაკოვის მოხსენება კუჭის მწვავე კატარით დაავადებულთა ბორჯომის მინერალური წყლით მკურნალობის შედეგების შესახებ. აშავე ავტორმა მიუთითა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი კეთილსასურველ გავლენას ახდენს ღვიძლისა და თირკმელების ზოგიერთ დაავადებათა დროს.

რევოლუციამდელი პერიოდის გამოკვლევებიდან მნიშვნელოვანია ი. პ. ვიხოდცევის, ს. ი. ვაწაძის, ა. ს. ალადაშვილის, ო. ვოლფკოვიჩის, ნ. ს. ალექსანდროვსკის, ი. ნ. ობლენსკის,

ი. სკვორცოვის, გ. ა. ზახარინის და სხვათა მეცნიერულ
შრომები, რომელთა წყალობითაც ბორჯომშა და მისმა ძვირ-
ფასმა სამკურნალო წყალმა საყოველთაო აღიარება ჰქოვა.

ორგანიზმზე სასმელი მინერალური წყლებისა და კერძოდ,
ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების
შესახებ დღევანდელი შეხედულება და კუჭ-ნაწლავის დაავა-
დებათა დროს მისი დანიშვნის წესის საფუძვლები ძირითა-
დად ემყარება პროფესორ ა. ს. ალადაშვილის მეცნიერულ
დასკვნებს, რომლებიც მან მოგვცა თავის საღოქტოორო დი-
სერტაციაში 1911 წელს, ხოლო შემდეგ საექიმო და მეცნიე-
რული მოღვაწეობის 36 წლის მანძილზე კიდევ უფრო დახვე-
წა და დანერგა კურორტული მკურნალობის პრაქტიკაში.

ა. ს. ალადაშვილმა აღნიშნა, რომ მინერალური წყლის
მიღება საჭმელთან ერთად ან უშუალოდ ჭამის წინ იწვევა
კუჭის წვენის გამოყოფის გაძლიერებას და მუავიანობის მო-
მატებას, ხოლო საჭმლის მიღებამდე ერთი საათით ადრე და-
ლევისას პირიქით მოქმედებს — ამცირებს კუჭის წვენის სე-
კრეციას და მუავიანობას, ე. ი. მინერალურ წყალს აქვს ორ-
გვარი მოქმედება. გამოირკვა, რომ პირველ შემთხვევაში,
როდესაც ბორჯომის წყალს ვაძლევთ საჭმელთან ერთად, კუ-
ჭის სეკრეციული ჯირკვლის მოქმედება ძლიერდება. ეს გა-
მოწვეულია, ჯერ ერთი, თავის სეკრეციის გავლენით, მეორე,
მინერალურ წყალში გახსნილი სხვადასხვა მარილისა და ნახ-
შირორუანგის ამგზნები მოქმედებით. ამას გარდა, ბორჯომის
მინერალურ წყალში შემავალი ნატრიუმის ბიკარბონატისა
და კუჭის წვენის მარილმუავას შორის ხდება ჭიმიური რეაქ-
ცია, რომლის შედეგად წარმოიშობა ნახშირმუავა და სუფრის
მარილი. ნახშირმუავა აღვილად იშლება წყლად და ნახშირ-

ორჟანგად. წარმოშობილი სუფრის მარილი (NaCl) და ნატრიუმის შირორჟანგი (CO_2) კუჭის წვენის სეკრეციას აძლიერებს. საჭმლის მიღებისას კუჭის გასავალი ხვრელი — პილორუსა დროებით იხურება, ამის გამო კუჭის შიგთავსის ნაწლავში გადასვლა პერიოდულად წყდება. ამიტომაც საჭვებთან ერთად მიღებისას მინერალური წყალი კუჭში დიდხანს ჩერდება და ახანგრძლივებს კუჭის წვენის სეკრეციის გამოყოფას და მატულობს მუავიანობა.

მეორე შემთხვევაში, როდესაც მინერალური წყალი ავადმყოფს ეძლევა ჭამამდე 1 ან $1\frac{1}{2}$ საათით ადრე, კუჭიდან იგი სწრაფად გადადის ნაწლავში და სწრაფადვე იწყება მისი შეწოვა და სისხლში გადასვლა. დამტკიცებულია, რომ თორმეტგოჯა ნაწლავში მოხვედრისას მინერალური წყლები, მით უმეტეს ბორჯომის ტიპის სოლიანი, ანუ ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი წყლები კუჭის სეკრეციაზე შემაკავებლად მოქმედებს. ამიტომ მინერალური წყალი როცა მთლიანად გადასულია ნაწლავში და ამ დროს კუჭში მოხვდება საჭმელი, ეს უკანასკნელი ველარ იძლიერებს კუჭის სეკრეციული ჭირკვლების მუშაობას, რადგან თორმეტგოჯა ნაწლავში მოხვედრილი წყალი ნერვულ-რეფლექსური და ჰორმონული მექანიზმებით სეკრეციული ფუნქციის დამუხრუჭებას იწვევს.

ამ თეორიული დასკვნებიდან გამომდინარე შემუშავებული ქნა ორი მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული რეკომენდაცია:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს კუჭის სეკრეციული ფუნქციის გაძლიერება და მისი მუავიანობის აწევა, ავადმყოფს მინერალური წყალი უნდა დავალევინოთ საჭმლის მიღებისას ან ჭამის წინ $10—15$ წუთით ადრე. მაშასადამე, ამ წესით

წყალს მიიღებენ კუჭის დაქვეითებული მუავიანობის  ავადმყოფები.

II. იმ შემთხვევაში, როდესაც კუჭის გაძლიერებული სეკ-
რეციული ფუნქცია და მომატებული მუავიანობა გვინდა შე-
ვამციროთ, ავადმყოფებს მინერალური წყალი უნდა მივცეთ
ჭამამდე $1-1\frac{1}{2}$ საათით ადრე. მინერალური წყლით მკურ-
ნალობის ამ წესს ვიყენებთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწილა-
ვის წყლულით ან მომატებული მუავიანობით მიმღინარე ჭრი-
ნიკული გასტრიტით დაავადებულთა მკურნალობის დროს.

ა. ს. ალადაშვილმა თავისი ექსპერიმენტული. და კლინი-
კური გამოკვლევებით ფასდაუდებელი ლვაწილი დასდო და ნა-
თელი მოჰყვინა ბალნეოთერაპიის ერთ-ერთი ძირითადი სა-
კითხის გარკვევას.


საკურორტო საქმის განვითარებას და ამასთან ერთად კუ-
რორტული მეცნიერების წინსვლას ხელი შეუწყო ცენტრა-
ლური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებამ.
ჩვენი ქვეყნის კურორტებზე და მათ შორის ბორჯომშიც ფარ-
თოდ გაიშალა საკურორტო ობიექტების მშენებლობა და კუ-
რორტული ფაქტორების მეცნიერული შესწავლა. საქართვე-
ლოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი-
სა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-
ცნიერ მუშაქთა ექსპედიციები ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუ-
შაობას ეწეოდნენ კურორტ ბორჯომში.


ამ სამეცნიერო მუშაობას ხელმძღვანელობდა პროფ.
ა. ს. ალადაშვილი, რომელმაც შემოიკრიბა თავისი მოწაფე-
ები და კურორტზე მომუშავე ექიმები.

სანატორიუმის ავადმყოფთა დიდ კონტინგენტზე დაჭვირ-
ვებისას ავტორთა კოლექტივმა (ა. ს. ალადაშვილი, ვ. ვ. პი-



ପାର୍ଜିଲ ଉରତ-ଉରତ ପୁଅନ୍ଦେ,





କୁଦାଗର୍ଜ ଗଚ୍ଛ ସାଙ୍ଗୁରି.



ଧନରଖମିଳ ଶେରି ପ୍ଲାଟିନଡାନ.





IV სამართველოს სანატორიუმის სამკურნალო კორპუსი.

რაუკოვი, ი. გ. პარმა, ვ. ს. გერსამია, ა. ი. ჭავაია, მ. მ. ტყე-
 მალაძე, ნ. თ. ცხომელიძე და სხვ.) შეისწავლა ბორჯომის მა-
 ნერალური წყლის სამკურნალო ეფექტურობის საკითხები
 ონგორც კურორტზე, ისე კურორტგარეშე მკურნალობის პი-
 რობებში და დაადგინა, რომ ქრონიკული გასტრიტით და
 წყლულოვანი დავადების დროს აღნიშნული წყალი დადები-
 თად მოქმედებს. მათვე დააზუსტეს მინერალური წყლით
 მკურნალობის მეთოდიკა.

კურორტ ბორჯომში კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის
 წყლულოვანი დავადების, ქრონიკული გასტრიტის, ღვიძლი-
 სა და სანალვლე გზების ანთებითი პროცესების მქონე ავად-
 მყოფების მკურნალობის დროს მრავალმხრივი დაკვირვებები
 იქნა ჩატარებული პროფკავშირების ლიკანის სანატორიუმის
 ექიმთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის მიერ პროფესორების
 გ. დიდებულიძის, ო. სტეპუნის, ვ. ანდლულაძის, ა. ბაკურაძის,
 ა. ერისთავის, ე. ქუთათელაძის, შ. გუგეშაშვილის და სხვათა
 ხელმძღვანელობით. დადგინდა, რომ ბორჯომის მინერალური
 წყალი სასურველ ეფექტს იწვევს, მაგრამ შედეგები უკეთე-
 სია, როცა მასთან ერთად კომპლექსში ვიყენებთ სხვა ბუნებ-
 რივ ან ხელოვნურ სამკურნალო ფაქტორებს.

შემჩნეულია, რომ ზოგჯერ (არცთუ ისე იშვიათად) მინერა-
 ლური წყლით მკურნალობისას, მაშინაც კი, როდესაც ავად-
 მყოფები მას ღებულობენ ჭამამდე $1-1 \frac{1}{2}$ საათით ადრე,
 კუჭის წვენის მომატებული მუავიანობა კი არ კლებულობს,
 არამედ პირიქით, მატულობს. მიუხედავად ამისა, ავადმყოფ-
 თა საერთო მდგომარეობა და თვითგრძნობა მაინც გაუმჯო-
 ბესებულია. მუავიანობის მომატება, რა თქმა უნდა, დროები-
 თი მოვლენაა. რაც დაკავშირებულია კუჭის ლორწოვანი გარ-

სის ჩამორეცხვასთან, ლორწოს ჭარბი რაოდენობით გულისხმობა და მოცილებასთან. კუჭის ჯირკვლოვან-კუნთოვანი აპარატის აგზნებადობის დროებით მომატებასთან. მართლაც, მკურნალობის შორეული შედეგების შესწავლით ირკვევა, რომ კუჭის წვენის მომატებული მუავიანობა ამ ავადმყოფებს ნორმისკენ უბრუნდებათ. ამგვარი მოქმედება სხვა მინერალური წყლებით მკურნალობის დროსაც არის შემჩნეული. ამის მიზეზი უფრო რთული მექანიზმებით უნდა აიხსნას.

გარდა იმისა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი გავლენას ახდენს კუჭის წვენის გამოყოფასა და მუავიანობაზე, იგი აძლიერებს კუჭის ტონუსს, ხელს უწყობს მის მოტორულ და ევაკუაციურ ფუნქციებს. ეს ფუნქციები უფრო ხშირად დამვეითებული აქვთ გამხდარ, დასუსტებულ ავადმყოფებს. კუჭის კედლების ტონუსის დაქვეითების გამო მათი კუჭიც დაწეულია. ამიტომ საჭმელი კუჭიდან დროულად ვერ გადადის თორმეტგოჯა ნაწლავში, დიდხანს ყოვნდება კუჭში, რაც იწვევს ტკივილისა და სიმძიმის შეგრძნებას კუჭის არეში, მუცლის ბერვას და სხვა დისპეციურ მოვლენებს. ექსპერიმენტული (მ. ლეუავა) და კლინიკური გამოკვლევებით (შ. მიქელაძე, გ. დიდებულიძე, თ. ავალიშვილი, ი. პარმა, მ. ნოღია, ვ. გოკიელი და სხვ.) დადასტურდა, რომ ბორჯომის სამკურნალო მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის ტონუსს, ხელს უწყობს კუჭიდან ნაწლავებში საჭმლის ევაკუაციას, ამით აჩქარებს დაუმჯობესებს საკვების გადამუშავებასა და მონელებას.

გამოირკვა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი ხელს უწყობს კუჭისა და ნაწლავების შეწოვით ფუნქციას (ა. ალადაშვილი, ა. ქაჯაია).

ბორჯომის მინერალური წყალი აძლიერებს ნალვლის გა-

მომუშავების პროცესს, ათხიერებს მას და აადვილებს მის გადმოსვლას სანალვლე გზებიდან ნაწლავში. მინერალური წყლის მიღება სტიმულს აძლევს ნალვლის გამომტანი საღინ-რების გახსნას. ნალვლის ბუშტის შეკუმშვები ძლიერდება, რის შედეგადაც ნალვლის ბუშტი იცვლება. ეს პროცესები დარღვეულია ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის დაავადებების დროს და მათ მოწესრიგებაში მინერალური წყლით მკურნალობა დიდ როლს ასრულებს. ბორჯომის მინერალური წყლის მასტიმულირებელი გავლენა ნალვლის გამომუშავებასა და გამოყოფაზე, ნალვლის ბუშტის მოტორული ფუნქციის მოწესრიგებაზე დადასტურებულია როგორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური გამოკვლევებით (გ. დიდებულიძე, მ. შარაფიანი, თ. ნუცუბიძე და სხვ.).

დიდია საჭმლის მონელების პროცესში კუჭუკანა ჯირკვლის, ანუ პანკრეასის როლი. პანკრეასის წვენი ნალველთან ერთად გამოდის თორმეტგოჯა ნაწლავში და ხელს უწყობს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების მონელებას. ამიტომაც ამ ორგანოს ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამოირკვა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი აუმჯობესებს პანკრეასის წვენის გამოყოფას და მის ფერმენტულ აქტივობას (ფერმენტები ხელს უწყობს საკვების მონელებას). ბორჯომის წყლის აღნიშნული თვისება დადასტურდა როგორც ექსპერიმენტული გამოკვლევებით (ზ. კობახიძე), ისე კლინიკური დაკვირვებებით (ი. ლუკინა).

ბორჯომის მინერალური წყალი კეთილსასურველ გავლენას ახდენს ნაწლავების ფუნქციურ მდგომარეობაზე და ნაჩვენებია მისი ქრონიკული ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ (განსაკუთრებით ქრონიკული კოლიტის დროს). მა-

ნერალური წყალი ხსნის და ნაწლავის კედლებიდან ჩამორეცხავს ზედმეტ ლორწოს, მასთან ერთად ლპობით პროცესებთან დაკავშირებით წარმოშობილ ტოქსინებს, აწყნარებს ან-თებით პროცესს, აუმჯობესებს ნაწლავის რიტმულ შეკუმშვებს, რაც განაპირობებს მისი შიგთავსის ნორმალურ გადანაცვლებას და ნაწლავის დროულ დაცლას. ქრონიკული კოლიტით დაავადებულთა მკურნალობა კურორტ ბორჯომის პირობებში საკმაოდ კარგ ეფექტს იძლევა (მ. თვალი, დ. ნინიძე და სხვ.).

დამტკიცებულია ბორჯომის წყლის დადებითი მოქმედება ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, მეცნიერულად დასაბუთებულია მისი სამკურნალო გამოყენება შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის, მარილოვანი ცვლის მოშლის (ურარტულია, ოქსალურია) და სხვა პათოლოგიური პროცესების დროს (ა. აბულაძე და ლ. დადუნაშვილი, ა. ბაკურაძე და რ. კაპანაძე, ა. გოგიშვილი, ნ. მალანია და სხვ.).

ბორჯომის მინერალური წყალი ხასიათდება შარდმდენა თვისებით. ღიურების გაძლიერება განსაკუთრებით წყლით მკურნალობის პირველ დღეებში აღინიშნება. ასეთი მოქმედება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგანაც ეს ხელს უწყობს შარდგამომტანი გზებიდან ანთებითი და გაღაგვარებითი პროცესების შედეგად დაგროვილი ლორწოს, ტოქსინების, ჩამოფცვნილი ეპითელური უჯრედების, ჩირქის, და სხვა პათოლოგიური ელემენტების ჩამორეცხვას. ბორჯომის მინერალური წყალი ცვლის შარდის ჭიმიურ რეაქციას და ხელს უწყობს დაგროვილი მარილების გახსნას და სილის გამოყოფას. ამგვარი თვისებების გამო ბორჯომის მინერალური წყლით წარმატებით მკურნალობენ საშარდე გზების ქრონიკული ან-

თებითი დავალებების (პიელიტის, ცისტიტის) დროს (ა. გან
რიშვილი და თანაავტ.).

უკანასკნელ ხანებში მიუთითებენ, რომ მინერალური
წყლების მიღების შედეგად თუ შარდვის გაძლიერება აღი-
ნიშნა, ხშირ შემთხვევებში ამას თან ახლავს კუჭის წვენის
მომატებული სეკრეციისა და მუავიანობის შემცირება. ამ
ფაქტს პირველმა მიაქცია ყურადღება კურორტ ბორჯომის
მეცნიერ-კონსულტანტმა პროფ. ა. ბაკურაძემ. კურორტული
ფაქტორების, უმთავრესად მექანიზმების შესწავლის საფუ-
ლელზე მან თავის მოწაფეებთან ერთად (რ. ჩხეტია, მ. ჭულე-
ლი, ა. რობაქიძე, ზ. კობახიძე, მ. დგებუაძე, ც. ჭულელი,
პ. კაპანაძე, ე. სოლდატოვა, ზ. კაბახიძე, ე. დვალიშვილი,
ა. გოგიშვილი, ა. ციბაძე, ნ. სეფაშვილი, ვ. მახათაძე და სხვ.)
მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი გააშუქა.
მანვე დაადგინა კანონზომიერება, რომლის მიხედვით პრო-
ფესიონალი ბაკურაძემ ჩამოაყალიბა ე. წ. გასტრორენალური
თეორია. ეს თეორია ერთგვარი გასაღებია პრაქტიკოსი ექი-
მისათვის კუჭის დაავადებათა მკურნალობის დროს. მართლაც,
დადასტურდა, რომ კუჭის წვენის მომატებული მუავიანობის
მქონე ავალმყოფებს მინერალური წყლების გავლენით თუ უძ-
ლიერდებათ დიურეზი და შარდის გზით ქლორიანი ნატრი-
უმისა და ქლორის შემცველი სხვა მარილების გამოყოფა, სა-
მაგიეროდ მნიშვნელოვნად უმცირდებათ კუჭის წვენის ჭარბი
გამოყოფა და მომატებული მუავიანობა. ეს დადასტურდა რო-
გორც ექსპერიმენტული, ისე კლინიკური გამოკვლევებით
(ა. ბაკურაძე, ც. ჭულელი, ვ. მახათაძე). ეფექტი კიდევ უფრო
აშკარაა შარდმდენი მედიკამენტების (ჰიპოთიაზიდის, ნოვუ-

რიტის, ლაზიქის და სხვ.) როგორც ფალუე, ისე მინერალური წყლებთან კომპლექსური გამოყენებისას.

ამრიგად, მრავალი წლის საექიმო-პრაქტიკული გამოცდილებით და მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბორჯომის მინერალური წყალი საუკეთესო ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს და მისი შიგნით მიღება, უპირველეს ყოვლისა, ნაჩვენებია კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, კუჭუკანა ჭირკვლის, შარდგამომყოფი სისტემის ორგანოთა და ნივთიერებათა ცვლის მოშლასთან დაკავშირებული დაავადებების დროს როგორც კურორტის, ისე კურორტგარეშე პირობებში. მიზანშეწონილია ბორჯომის მინერალური წყლის გამოვლება პირის ღრუში კბილის კარიესული დაავადების პროფილაქტიკისათვის, რადგანაც დასაშვები რაოდენობით შეიცავს ფტორის შენაერთებს.

რაც შეეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ ბორჯომის მინერალური წყლის გამოყენების საკითხს, უნდა ითქვას, რომ მას უდავოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც შიგნით მიღების, ისე აბაზანების სახით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბორჯომის მინერალური წყალი უპირატესად სასმელ მინერალურ წყლებს მიეკუთვნება და აბაზანების სახით მის გამოყენებას პირველწარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვს.

ბორჯომში ჩატარებულმა კლინიკურმა დაკვირვებებმა (ნ. ცხომელიძე) დაადასტურა მინერალური წყლის აბაზანების დადებითი თერაპიული ეფექტი გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს. ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფთა იმ კონტინგენტისათვის, რომელსაც გულ-სისხლ-

არღვთა სისტემის დაავადებები აღმოაჩნდა ძირითადი დაავადების თანმხლებად, რაციონალურია ბორჯომის მინერალური წყლის აბაზანებით მკურნალობა.

იგივე შეიძლება ითქვას ბორჯომის მინერალური წყლის აბაზანების მიზანშეწონილებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ავადმყოფს საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადების ამ ნივთიერებათა ცვლის მოშლისას თანმხლები დაავადების სასით აღმოაჩნდება ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობანი.

ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალოდ გამოყენების მეთოდები

სამკურნალო მიზნით ბორჯომის მინერალურ წყალს იყენებენ როგორც სასმელად, ისე აბაზანების სახით. უმთავრესი სამკურნალო თვისებები მულავნდება მისი სმისას, ანუ მიღებისას.

მინერალური წყლის პერორალურად მიღებისას ხდება სამკურნალო წყლის უშუალო შეხება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვან გარსთან, საიდანაც იგი შეიწოვება სისხლში და მიიტანება ორგანიზმის ქსოვილებსა და უჯრედებში. პირის ღრუს, საყლაპავი მიღის, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვან კარსებში უხვადაა ნერვული უჯრედების მორჩთა დაბოლოებები, რომლებიც მეტად მგრძნობიარეა ყოველგვარი გამღიზიანებლის მიმართ. მინერალური წყალი ამ ნერვულ რეცეპტორზე ახდენს მექანიკურ, თერმულ და ჰიმიურ აგზნებას. ეს მცულსები გადაეცემა თავის ტვინის ნერვულ ცენტრს და

რეფლექსური გზით იწვევს საპასუხო რეაქციებს. სისხლი შეწოვის შემდეგ მინერალური წყლის გავლენით ქსოვილებსა და უჯრედებში იცვლება ოსმოსური და დიფუზური პროცესები, ზედაპირული დაჭიმულობა, უჯრედთაშორისი აპკის გამტარებლობა, ელექტრობა, ქსოვილურ სითხესა და უჯრედებს შორის წყლისა და მარილების წონასწორობა და სხვა პროცესები. ადგილი აქვს მთელ რიგ ბიოქიმიურ ძვრებს, საბოლოო ჯამში — ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას.

მინერალურ წყალში არსებული იონები მოქმედებს ცენტრალურ და ვაგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე და იწვევს მათი ფუნქციების გაუმჯობესებას. ამას თავის მხრივ მოსდევს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების ერთგვარი გაღახალისება, პათოლოგიური პროცესების სრული მოსპობა ან საგრძნობი შემცირება. აღსანიშნავია ის თავისებურებაც, რომ სამკურნალო მინერალური წყლის ხანგრძლივი მიღებისას ხდება მისი მოქმედების სუმაცია (კუმულაცია) და ეფექტის მოგვიანებითი გაძლიერება. ამიტომაა, რომ კურორტული მკურნალობის შედეგი მოგვიანებით უფრო კარგად მუღავნდება.

ზოგიერთი რჩევა მინერალური ჭყლით გაურნალობის
დროს, როცა მას სახელად ვიჟენებთ

ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური და სამკურნალო თვისებების გაცნობა ნათელს ხდის, რომ იგი არ არის ინდიფერენტული საშუალება, სამკურნალოდ მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ავადმყოფის ინდივიდუალური მონა-

ცემების მიხედვით, ექიმის რჩევით, თვითმკურნალობას საჭიროა გებლობის მაგიერ ვნების მოტანა შეუძლია, ამიტომ სასურველია ვიცოდეთ სად, როდის, როგორ, რამდენი, რა სახით და რამდენ ხანს მივიღოთ მინერალური წყალი. ამ საკითხებს, რა თქმა უნდა, ექიმი წყვეტს, მაგრამ უმჯობესია ავადმყოფ-მაც იცოდეს ამის შესახებ, რათა მისი შეხედულება და სურვილები არ ეწინააღმდეგებოდეს ექიმისას. მოკლედ შევეხებით მინერალური წყლით მკურნალობის ზოგიერთ საკითხს, რომელთა ცოდნა, ვფიქრობთ ავადმყოფთათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება.

სად ჯობს მინერალური წყლის დალევა? რასაკვირველია, თუ ავადმყოფი კურორტზე იმყოფება, სამკურნალო წყალი მან წყაროსთან უნდა დალიოს, ვინაიდან დედამიწის წიაღიდან ამოსული წყალი სრულიად შეცვლელია და აქვს ყველა ფიზიკურ-ქიმიური და სხვა სპეციფიკური თვისება, რომელიც კი ამ წყალს გააჩნია. ზოგიერთი რამ ამ თვისებებიდან ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია.

ამას გარდა, ავადმყოფისათვის სასარგებლოა წყაროზე სიარული, გასეირნება, ბუნების სილამაზით დატკბობა — ერთგვარი კლიმატოთერაპიაცაა, ეს ორგანიზმს ახალისებს, ტონუსს მატებს.

თუ ავადმყოფს წოლითი რეჟიმი აქვს დანიშნული ან უჭირს სიარული, მინერალური წყალი უნდა მიუტანონ სანატორიუმში ან ბინაზე უშუალოდ დალევის წინ, უმჯობესია ისეთი ჭურჭლით, რომელშიც წყალი დაცული იქნება მზის სხივებისაგან, ტემპერატურის მკვეთრი შეცვლისა და მექანიკური ტრავმირებისაგან.

ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ბოთლებში ქარხნული წესით

ჩამოსხმული ბორჯომის მინერალურ წყალს აღარ აჭვს ცალი გურნალო თვისებები? სრულიადაც არა. საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქიმიკოსებმა ა. ვარშამოვამ, ს. გეგეჭიკორმა და სხვ. შეისწავლუს ბორჯომის სამკურნალო წყლის თვისებები ბოთლებში ჩამოსხმიდან სხვადასხვა დროის გავლის შემდეგ და გამოარკვიეს, რომ თუ ბოთლები ჰერმეტულადაა დახურული და წყალს არ დაუკარგავს ნახშირორუანგი, მით უმეტეს, თუ ბნელ და გრილ ადგილზეა შენახული, იგი დიდხანს (6—12 თვე) ინარჩუნებს თავის თვისებებს.

წყაროდან აღებული ბორჯომის მინერალური წყალი ჰაერთან შეხებისას რამდენიმე საათში კარგავს გამჭვირვალობას. ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ მასში გახსნილი ნახშირორუანგი ნაწილობრივ იკარგება, ხოლო ჰაერის უანგბადის გავლენით (რომელიც მანამდე სრულიად არ ეხებოდა მინერალურ წყალს) წყალში ხსნადი სახით მყოფი ორვალენტიანი რკინის ჰიდროკარბონატი იჭრევა სამვალენტიანი რკინის ჰიდროუანგად, რომელიც მორუხო ფეხის უხსნადი ნალექის სახით გამოიყოფა და ფერსა და გამჭვირვალობას უცვლის წყალს. ნახშირორუანგა გაზის დამატება ხელს უშლის მინერალურ წყალში დაუანგვით პროცესებს და ნალექის წარმოშობას.

რამდენჯერ და როდის უნდა მივიღოთ მინერალური წყალი? ჩვენს კურორტებზე დაწესებულია წყლის დალევა დღეში სამჯერ — საუზმის, სადილისა და ვახშმის წინ. წყლის მიღებასა და ჭამას შორის არსებული დროის მონაკვეთი განისაზღვრება უმთავრესად კუჭის წვენის მუავიანობის მიხედვით: მომატებული მუავიანობის დროს ავალმყოფს წყალი ენიშნება

ჭამამდე 1—1 1/2 საათით ადრე, დაქვეითებული მუავიანობის — ან თავისუფალი მარილმუავას სრული არარსებობისას — ჭამის დროს, უშუალოდ ჭამის წინ (თუ ეს მოსახერხებელია) ან 10—15 წუთით ადრე საჭმლის მიღებამდე. ნორმალური მუავიანობისას კი (საერთო მუავიანობა 50—70 ერთეული) ჭამის წინ 30—45 წუთით ადრე.

კუჭის წვენის მაღალი მუავიანობის მქონე ავადმყოფებს, ზოგიერთი ავტორის რჩევით, ბოლო ხანებში წყალს უნიშნავენ განსხვავებული წესით — საჭმლის მიღებიდან 1—2 საათის შემდეგ. ასეთ მეთოდს იმით ასაბუთებენ, რომ საჭმლის მიღების შემდეგ კუჭის წვენის გამოყოფა მაქსიმალურად ძლიერდება, რაც ზოგიერთ ავადმყოფს უძლიერებს ტკივილს და გულისწვას, ამ დროს მინერალური წყლის მიღება, ჯერ ერთი, იწვევს მაღალი მუავიანობის მქონე კუჭის წვენის განზავებას, მეორეც, ანეიტრალებს კუჭის წვენში არსებულ მარილმუავას. ამის შედეგად ავადმყოფი გარკვეული დროის განმავლობაში თავს უკეთ გრძნობს.

რა ტემპერატურა უნდა ჰქონდეს მინერალურ წყალს? საჭმელის მომნელებელი ორგანოების დაავადებისას დიდა ყურადღება უნდა დაეთმოს მიღებული საკვებისა და სითხე-ების, მათ შორის მინერალური წყლის ტემპერატურას. ცივი საკვებისა და წყლის მიღება ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავისა და სანალვლე გზების შეკუმშვას, რაც ტკივილს აძლიერებს. სითბო კი პირიქით მოქმედებს, სპაზმურ შეკუმშვებს აღუნებს და ტკივილს აწყნარებს. ამიტომ დაავადების გამწვავებისას უპირატესობა უნდა მიეცეს თბილ წყალს. ბორჯომში მანერალური წყაროების უმრავლესობა თბილია (t° —29—33°) და უმჯობესია ბუნებრივი ტემპერატურის მქონე

წყლის მიღება. ცივი წყალი უნდა შეთბეს 38—42—⁴⁵ გა-
მდე. შეთბობის მიზანი ისიცაა, რომ მინერალური წყლიდან გა-
მოიდევნოს მასში გახსნილი ნახშირორუანგა გაზი, რომელიც,
როგორც აღვნიშნეთ, კუჭის წვენის გამოყოფას აძლიერებს.
მინერალური წყლის გათბობა უნდა ხდებოდეს ცხელი წყლის
უბრალო აბაზანაზე ან სპეციალური მოწყობილობის ჭურ-
ჭელში.

მათთვის, ვისაც კუჭის წვენის მუავიანობა დაქვეითებულა
აქვთ, მინერალური წყლის შეთბობა საჭირო არ არის, რათა
ამით ნახშირორუანგა გაზი შენარჩუნებულ იქნეს კუჭის სე-
კრეციის ფუნქციის გასაძლიერებლად. მაგრამ, თუ ავადმყოფ
აქვს ღვიძლისა და სანაღვლე გზების ან ნაწლავების თანმხელე-
ბი დაავადებაც, უმჯობესია წყალი მიიღოს შემთბარი სახით
უშუალოდ ჭამის წინ, ან 10—15 წუთით ადრე ჭამამდე.

გაშასაღამე, წყლის ტემპერატურის შერჩევისას უნდა გა-
ვითვალისწინოთ დაავადების ფორმა, მიმდინარეობის ფაზა,
თანმხელები დაავადებების არსებობა და სხვა მომენტები. ამი-
ტომ უმჯობესია, რომ მინერალური წყლის ტემპერატურაც
მკურნალმა ექიმმა განსაზღვროს.

რა რაოდენობით უნდა მიიღოს ავადმყოფმა ბორჯომის მი-
ნერალური წყალი? ბევრ კურორტზე და მათ შორის ბორჯომ-
შიც კვლავ შემორჩენილია მინერალური წყლის სტანდარტუ-
ლი დოზა — თითო ჭიქა დღეში სამჯერ, რაც არაა სწორი.
მინერალური წყალი, აქტიურად მოქმედებს ორგანიზმზე, ამი-
ტომ მისი დოზა უნდა განისაზღვროს ავადმყოფის სხეულის
წონის გათვალისწინებით. ბორჯომის მინერალური წყალი,
რომელიც საშუალო მინერალიზაციისაა, ავადმყოფმა უნდა
მიიღოს 3—4 მლ რაოდენობით 1 კგ წონაზე. საშუალო წონის

მქონე ავადმყოფმა (70 კგ) უნდა დალიოს 200—300 მლ წყალი და ლი (საშუალოდ 250 მლ). 100 კგ წონის ავადმყოფმა კი — 300—400 მლ და არა 1 ჭიქა, რომელიც სხვადასხვა ტევადობისაა.

პირველ დღეებში, მით უფრო, თუ ავადმყოფი ვერ ეგუება თბილ წყალს, უმჯობესია მისი შედარებით ნაკლები დოზების მიღება (100—150 მლ), თუ ავადმყოფს არ ეზღუდება სითხის მიღება (გულ-სისხლძარღვთა ორგანოების ან სხვა დაავადებათა მიზეზით), მომდევნო დღეებში შეიძლება ვურჩიოთ დოზის მაქსიმუმი, მაგრამ არა უმეტეს 400 მლ ერთჯერად და 1200 მლ მთელ დღეს.

მინერალური წყლის დოზას განსაზღვრავს ექიმი.

როგორ ჯობს წყლის დალევა? წყლის სმის ტემპსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა შეესაბამებოდეს კუჭის სეკრეციული ფუნქციის მდგომარეობას. ჰიპერაციდული მდგომარეობისა (მომატებული მუავიანობა) უმჯობესია წყლის სწრაფად, ერთბაშად დალევა, ჰიპოაციდური მდგომარეობისას (დაქვეითებული მუავიანობა) კი — ნელა, 2—5 წუთის განმავლობაში, პატარა ყლუპებით, თან შეუძლია ისეირნოს ბიუვეტის მახლობლად. ასეთი წესით დალევისას პირის ღრუს, საყლაპავი მილისა და კუჭის ლორწოვანი გარსის ნერვულ რეცეპტორებზე წყლის შეხება უფრო ხანგრძლივია, რაც მეტად აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას.

ყველა ავადმყოფისათვის რეკომენდებულია საკუთარი სპეციალური სასმისი სატუჩარით, რაც მოხერხებულიცაა და ჰიგიენურიც.

რამდენ ხანს შეიძლება მინერალური წყლის სმა? მინერალური წყლის სმის კურსი კურორტზე

განისაზღვრება 22—25 დღით, რაც, ჩვეულებრივ, საკმარისებრი. მისი მიღება შეიძლება მეტხანსაც, მაგრამ არა უმეტეს თვენა- ხევრისა. მკურნალობის კურსის განმეორება ნაჩვენებია არა- უადრეს 2—3 თვისა.

რა შემთხვევებშია წინააღმდეგნაჩვენე-
ბი ბორჯომის მინერალური წყალის სმა?
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე და ძლიერ გამწვავებული
ქრონიკული დაავადებებისას, კუჭის გასასვლელის შევიწროვე-
ბისას (პილორუსის სტენოზი), სისხლდენით გართულებისას
მინერალური წყალი წინააღმდეგნაჩვენებია. გულ-სისხლძარღვ-
თა სისტემის დაავადებისას ავადმყოფს წყალი ეზღუდება ან
ეკრძალება სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ხარისხის მი-
ხედვით. ბორჯომის მინერალური წყალი წინააღმდეგნაჩვენე-
ბია ჰეშმარიტი ფოსფატურიის (მარილოვანი ცვლის მოშლა,
რომელსაც ახლავს შარლის რეაქციის გატუტიანება) დროს,
ფალარათიანობის დროს ავადმყოფმა ბორჯომის მინერალური
წყლის სმა დროებით უნდა შეწყვიტოს.

მინერალური წყლის შიგნით მიღების
სპეციალური მეთოდები. ბორჯომის მინერალურ
წყალს იყენებენ აგრეთვე პირის ღრუში გამოსავლებად (პი-
რის ღრუს, ენის, ღრძილების, ხახის დაავადებათა დროს), კუ-
ჭის ამოსარეცხად (გასტრიტების დროს, განსაკუთრებით კუ-
ჭის ტონუსის დაჭვეითების, ლორწოს ჭარბი დაგროვებისას,
აგრეთვე ხშირი და ხანგრძლივი გულისწვისას და ა. შ), თორ-
მეტგოჯა ნაწლავში შესაყვანად, მის მოსარწყავად, მოსასხუ-
რებლად (თორმეტგოჯა ნაწლავისა და საწალვლე გზების და-
ავადებათა დროს).

მინერალური წყლის შიგნით მიღების მეთოდებს მიეკუთვ-

ნება მისი რექტალური (სწორი ნაწლავის გზით) შეუვანა შიკ-
 როოყნის, ნაწლავის სიფონური გამორეცხვის, ნაწლავის შხა-
 ვის, ნაწლავის წყალჭვეშა გამორეცხვის ე. წ. სუბაკვალური
 აბაზანების სახით და სხვ. ამ სამკურნალო პროცედურების
 ჩვენებებია: ყაბზობა, ინტოქსიკაცია, ქრონიკული კოლიტი,
 ღვიძლისა და სანალვლე გზების დაავადებანი და სხვ.

წინააღმდეგ ჩვენები: (განსაკუთრებით სუბაკვა-
 ლური აბაზანისა და რექტალური შხაპისათვის) სისხლის მი-
 მოქცევის უკმარისობა (II—III ხარისხის), ჰიპერტონიული
 დაავადება (II—III სტადიის), ნაწლავების შეხორცება,
 სწორნაწლავში ნახეთქების, წყლულების, პოლიპების არსე-
 ბობა, საზარდულის თიაქარი, ბუასილი, ორსულობა (ყველა
 პერიოდში) და სხვ.

ინჰალაციური მკურნალობა ნაჩვენებია ყელ-
 ყურ-ცხვირისა და სასუნთქი ორგანოების ზოგიერთი ქრონი-
 კული დაავადების დროს. სპეციალური აპარატის საშუალებით
 წინასწარ უწვრილეს ნაწილაკებად გაშეფებული მინერალუ-
 რი წყალი შესუნთქვისას აღწევს სასუნთქ მილაკებამდე. ლორ-
 წოვან გარსზე რეფლექსურ ზემოქმედებასთან ერთად ნატრი-
 უმის ბიკარბონატის შემცველი წყალი იწვევს სასუნთქი გზების
 ანთებითი პროცესის შენელებას, აუმჯობესებს სისხლის მი-
 მოქცევას, აადვილებს ნახველის გამოყოფას, აწყნარებს ხვე-
 ლას.

ბორჯომის მინერალური წყლით ინჰალაცია კარგ შედეგს
 ძლევა ლარინგო-ტრაქეოტის, ბრონქული ასთმის, ფილტვე-
 ბის ანთების ნარჩენი მოვლენების დროს და სხვ. ისინი
 გვხვდება კურორტზე თანმხლები დაავადებების სახით.

ბორჯომის მიწარალური წყლის
გარეგნი გამოყანება

ორგანიზმზე მინერალური წყლის აბაზანის დაღებითი გავლენა აიხსნება მისი მექანიკური (ჰიდროსტატიკური), თერმული და ქიმიური ზემოქმედებით. წყალში გახსნილი ნახშირორუანგა გაზის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით უშუალოდ აბაზანაში ხდება ბუნებრივად თბილ მინერალურ წყალთან მცირე რაოდენობის უბრალო ცხელი წყლის სწრაფი შერევა.

მინერალური წყლის სააბაზანოები ფუნქციონირებს საკურორტო პოლიკლინიკასა და ზოგიერთ სანატორიუმში.

მინერალური წყლის აბაზანა ავალმყოფმა უნდა მიიღოს მსუბუქი საუზმის შემდეგ. აბაზანამდე აუცილებელია მცირე ხანს დასვენება. აბაზანაში საჭირო არ არის ზედმეტი მოძრაობა, რათა კანს არ მოსცილდეს გაზის ბუშტუკები. წყლით არ უნდა იფარებოდეს გულის მიღამო, მით უფრო, თუ ავალმყოფს აწუხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება. პროცედურის ხანგრძლივობა არ აღემატება 15 წუთს. წყლის ტემპერატურა 36° . პროცედურის შემდეგ ავალმყოფი ისვენებს ჯერ სააბაზანო შენობაში, ხოლო შემდეგ სანატორიუმში ($\frac{1}{2}$ —1 საათით).

აბაზანის დღეს ზოგადი მოქმედების სხვა პროცედურა დაუშვებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბორჯომის მინერალური წყალი ძირითადად სასმელ სამკურნალო წყალს წარმოადგენს. აბაზანების სახით მისი გამოყენება ნაჩვენებია როგორც დამნარე საშუალება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა დროს, რომელიც თანმხლებ დაავადებად გვევლინება.



საბაზო სანატორიუმი „ლიკანი“.



სანატორიუმი „ფირუზა“.



ପାଠ୍ୟପତ୍ର
„ବିଜ୍ଞାନ“

კლიმატით არა პირ. კანმრთელობისათვის ჰაერის, მზისა და წყლის მნიშვნელობას აღამიანი უძველესი დროიდან იცნობს. კლიმატურ ფაქტორებს სარგებლობის მოტანა მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მათ სწორად გამოვიყენებთ. ზოგი-ერთი ავადმყოფი დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც კურორტზე ჩამოსვლისთანავე იწყებს თვითმკურნალობას, ექიმის დაშიშნულების გარეშე შეუშვერს სხეულს მზის სხივებს, „მზეზე შავდება“.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა დროს იყენებენ სხვადასხვა სახის კლიმატოთერაპიას, აეროთერაპიას, ჰაერისა და მზის აბაზანებს.

აეროთერაპია გულისხმობს სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნას. იგი შეიძლება ჩავატაროთ ოთახში, ღია ფანჯარასთან მშოლიარე მდგომარეობაში, აივანზე, ეზოში ან პარკში ხანგრძლივი ჯდომით, ანდა სასურველია მისი შეხამება მოძრაობასთან (ექსკურსია — გასეირნება, ტერენკური და სხვ.). აეროთერაპია უფრო ხშირად საღილის შემდეგ ტარდება ვერანდაზე, უმჯობესია, თუ ავადმყოფისთვის აქვე დამატებით მოეწყობა მეორე საწოლი დასაძინებლად.

ჰაერის აბაზანის მიღებისას ორგანიზმზე მოქმედებს როგორც ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე, მოძრაობა და იონიზაცია, ისე მზის გაფანტული რადიაცია. ჰაერის აბაზანა უმჯობესია დილის ან საღამოს საათებში, მისი ხანგრძლივობა დასაწყისში არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, შემდეგ კი თანდათანობით უნდა გადიდეს 2 საათამდე.

მზის აბაზანებით მკურნალობა (ჰელიოთერაპია) მრავალ

მხრივ ძვრებს იწვევს ორგანიზმში, ამიტომ უფრო მეტად უფრო მეტად უნდა დაეთმოს მისი დოზირებისა და ჩვენება-წინა-აღმდეგჩვენების საკითხს. მზის აბაზანის მიღებისას ორგანიზმები მოქმედებს არა მარტო ჰაერის, არამედ მზის სხივურა ენერგიის მთელი კომპლექსი — სითბო, ხილული და ულტრა-ისფერი სხივები. კუჭის დაავადების დროს ხანგრძლივ მზის აბაზანებს შეიძლება მოჰყვეს სერიოზული გართულებები. ცნობილია, რომ ულტრაიისტერი სხივების გავლენით ორგანიზმი ძლიერდება ჰისტამინისმსგავსი ნივთიერებების წარმოშობის პროცესი. ეს ნივთიერებები აჩვარებს კუჭის წვენის გამოყოფასა და მუავიანობაც მატულობს. მზის აბაზანების მიღება უნდა ხდებოდეს სპეციალურად მოწყობილ სა-დგომში — აეროსოლარიუმში. პროცედურის ხანგრძლივობა სხვადასხვაა, იმის მიხედვით, დღის რომელ საათებში, უფრა სწორად, მზის რადიაციის როგორი ინტენსივობისას ტარდება იგი. ძველად დოზირებას წუთებით განსაზღვრავდნენ — იწყებდნენ 3—5 წუთიდან და ყოველდღე 5 წუთის მომატებით პროცედურას ახანგრძლივებდნენ 1—2 საათამდე. ახლა დოზირებას საფუძვლად უდევს მზის სითბური მოქმედება. იწყებდნენ 5 კალორიით სხეულის ზედაპირის 1 სმ^2 -ზე და აღიდებენ 50 და უფრო მეტ კალორიამდე. უმჯობესია ულტრაიისტერი სხივების ინტენსივობას განსაზღვრა ხდებოდეს ბიოდოზებით.

პროცედურა სასარგებლოა ჩატარდეს დილის საათებში (გორჯომის პირობებში დილის 9 საათიდან 13 საათამდე). სოლარიუმში მისვლისას ავადმყოფმა ჭერ უნდა დაისვენოს 10—15 წუთი, შემდეგ მიიღოს ჰაერის აბაზანა და ამის შემ-

დეგ — გზის აბაზანა. პროცედურის მერე სასარგებლოა თბილი წყლის შხაპი.

კლიმატური ფაქტორებით წარმოებით მკურნალობა ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს ავაღმყოფი კლიმატის სიკეთეს.

ტალახით მკურნალობა საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებების კურორტული მკურნალობის ერთ-ერთი გავრცელებული და ეფექტური საშუალებაა. ამ მიზნისათვის ბორჯომში ფართოდ იყენებენ როგორც ლამის, ისე ფსევდოვულკანური წარმოშობის სამკურნალო ტალახს. პირველი შემოაქვთ კუმისის ტბილან (თბილისის მახლობლად), ხოლო მეორე კურორტი ახტალიდან (გურჯაანის რაიონი). ამჟამად საბჭოთა კავშირში უპირატესობა ეძლევა ტალახით მკურნალობის აპლიკაციურ მეთოდს. ავაღმყოფს დაავადებული ორგანოს მიღამოებზე აღებენ 4—12 კგ რაოდენობით წინასწარგაწმენდილ და გამთბარ ტალახს და შეახვევენ სითბოს ხანგრძლივად შენარჩუნებისათვის. ტალახის ტემპერატურა უნდა იყოს $38-40-42^{\circ}$, პროცედურის ხანგრძლივობა — $12-15$ წუთი. პროცედურის დამთავრებისას ავაღმყოფი იქვე თბილი წყლის შხაპით ჩამოიბანს ტალახს, იცვამს და $20-30$ წუთის განმავლობაში ისვენებს ჯერ ტალახსამკურნალოში, შემდეგ კი ვალატაში.

უკანასკნელ ხანებში (კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით) დამტკიცდა, რომ კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროულებით შედეგები მიიღება $38-40^{\circ}$ ტემპერატურის მქონე უკეთესი შედეგები მიიღება $38-40^{\circ}$ ტემპერატურის მქონე ტალახით მკურნალობისას. უნდა გვახსოვდეს, რომ სამკურნალო ტალახის სასარგებლო გავლენას განსაზღვრავს არა.

მხოლოდ სითბოს ფაქტორი, არამედ ტალახის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ერთობლიობა. აქ იგულისხმება ტალახის შემაღენლობაში არსებული ორგანული და არაორგანული ნაერთების ზემოქმედება კანში არსებულ ნერვულ რეცეპტორებზე, კანის გზით ზოგიერთი მათვანის შეღწევა სისხლში და ორგანიზმში მიმდინარე რთულ ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებში მათი მონაწილეობა.

აპლიკაციური მეთოდის გარდა, ბორჯომში ფართოდ მართავენ ელექტროტალახით მკურნალობას. ამ პროცედურის დროს დაავადებულ მიღამოზე ადებენ გამთბარ ტალახს, ტალახზე ათავსებენ გალვანიზაციის აპარატებთან შეერთებულ ელექტროდებს. ელექტროტალახის პროცედურას ავადმყოფები შედარებით უფრო აღვილად იტანენ, ვიდრე ტალახის აპლიკაციას.

სამკურნალო პროცედურები დღეგამოშვებით ინიშნება აბაზანებთან ან წყლის პროცედურებთან მონაცვლეობით.

ტალახით მკურნალობის წინააღმდეგჩენებებია დაავადების გამწვავება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი (სისხლის მიმოქცევის უკმარისობით), სისხლდენა და სხვა ისეთი დაავადებანი, რომელთა დროს სითბური ზემოქმედება საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია.

ფიზიოთერაპია. კურორტ ბორჯომში ფართოდ იყენებენ როგორც ელექტროპროცედურებს (დიათერმია, ინდუქტორებია, ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველი, გალვანიზაცია, დიაღინამიური დენი, ულტრაბგერა, მიკროტალდები და სხვ.), ისე სინათლით მკურნალობის პროცედურებს (სოლუქსი, ულტრაინისფერი და ინფრაწითელი სხივებით დასხივება და სხვ.).

ფიზიკური მეთოდებიდან ხშირად იყენებენ აგრეთვე პარაფინით მკურნალობას და წყლის პროცედურებს (წვიმისებრი, ცირკულარული, მარაოსებრი, ალმავალი და შარკოს შეაცები, წიწვიანი, ნახშირმუავა, მარგალიტის და სხვა აბაზანები).

ამ სამკურნალო საშუალებათა სიმრავლე შესაძლებლობას გვაძლევს კურორტზე ჩამოსულ თითოეულ ავადმყოფს ინდივიდუალური მიღებით შევურჩიოთ სამკურნალო პროცედურები.

სამკურნალო ფიზკულტურა ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობის მნიშვნელოვანი ელემენტია და უართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების ფუნქციების მოსაწესრიგებლად. იგი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, მაღლა სწევს ორგანიზმის ტონუსს და შრომისუნარიანობას. ამ მიზნით ავადმყოფებს კურორტზე სისტემატურად უტარდებათ დილის გამამხნევებელი ვარჯიში, სპეციალური სამკურნალო ვარჯიშები დაავადების მიხედვით, სამკურნალო სიარული (ტერენკური), სხვადასხვა სახის მოძრავი თამაშობანი და სხვ.

როგორც წესი, სამკურნალო ფიზკულტურა ფეხზე მოსიარულე თითქმის ყველა ავადმყოფისათვისაა ნაჩვენები. დაავადების სიმძიმისა და საერთო მდგომარეობის მიხედვით ფიზიკური დატვირთვაც სხვადასხვაა. ავადმყოფებს ენიშნებათ დაზოგვითი, მატონიზირებელი ან წვრთნის რეჟიმი. დაავადების გამწვავებისას დასუსტებულ ავადმყოფებისათვის, მითუფრო მკურნალობის დასაწყის პერიოდში, რეკომენდებულია დაზოგვითი რეჟიმი, რაც მომდევნო პერიოდში შესაბამისად იცვლება და მთავრდება წვრთნის რეჟიმზე გადასვლით.

კურორტ ბორჯომში პრაქტიკაში დიდი ხანია დანერგილია

დოზირებული სიარულით მკურნალობა (ტერენკური). მიხერა-
 ლური წყლების პარკში ამჟამადაც იყენებენ ჭერ კიდევ გა-
 სულ საუკუნეში მოწყობილ ბილიკებს. ერთ-ერთი ბილიკა
 მინერალური წყლის № 1 წყაროსთან იწყება და ზიგზაგისე-
 ბური აღმასვლით აღწევს პლატომდე.

ტერენკური დადებით შედეგს იწვევს არა მარტო ორგანი-
 ზმის ფიზიკური ვარჯიშების გამო, არამედ იმითაც, რომ იშ-
 ვიათი სილამაზის ბუნებაში სუფთა ჰაერზე მოძრაობა ამშვი-
 ლებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს ძილს, ხელს უწყობს
 საჭმლის მონელებას, მატონიზირებლად მოქმედებს გულ-
 სისხლძარღვთა სისტემასა და საერთოდ მთელ ორგანიზმზე.
 ტერენკურით ყველა ავაღმყოფი უნდა სარგებლობდეს. მის
 სვლაგეზებს და სარგებლობის წესებს ავაღმყოფებს აცნობს
 მკურნალი ექიმი და სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქ-
 ტორი ან მეთოდისტი.

სამკურნალო კვება ყოველგვარი მკურნალობის სა-
 ფუძველს წარმოადგენს. მისი როლი განსაკუთრებით დიდია
 საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და ნივთიერებათა
 ცვლის მოშლასთან დაკავშირებულ დაავადებათა მკურნალო-
 ბის საქმეში. დიეტური კვების ორგანიზაცია საკმაოდ რთუ-
 ლია. დიეტური კერძები ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ
 გემრიელიც იყოს და არც სამკურნალო კვების პრინციპები
 დაირღვეს. დღის რაციონი მაქსიმალურად უნდა აკმაყოფი-
 ლებდეს ორგანიზმის მოთხოვნებს როგორც რაოდენობის,
 ისე ქიმიური შემაღენლობისა და კალორიულობის მხრივ.

ადამიანის კვების ნორმა დამოკიდებულია მის ასაკზე, წო-
 ნაზე, სქესზე, პროფესიულ საქმიანობაზე, კლიმატსა და ჭან-
 მრთელობის მდგომარეობაზე. სსრკ სამედიცინო მეცნიერე-

ბათა აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ დადგენილია, რომ საშუალო სიმაღლისა და წონის სრულასაკოვანი აღამიანისათვის საკვების საერთო კალორიულობა, ანუ ენერგეტიკული ღირებულება ზომიერი მუშაობის პირობებში უნდა შეადგენდეს 3000—3600 კალორიას, ანუ 40—50 კალორიას 1 კგ წონაზე. დაახლოებით ასეთი ნორმებია გათვალისწინებული სანატორიულ-კურორტული მკურნალობის დროსაც. კვების რაციონი გარკვეული ურთიერთშეფარდებით უნდა შეიცავდეს კილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს. ცილების ხარჯზე უნდა მოდიოდეს კალორიულობის 14 %, ცხიმების — 30 %, ნახშირწყლებზე — 56 %. ამის მიხედვით დღის განმავლობაში საკვები უნდა შეიცავდეს ცილებს 100—110 გ, ცხიმებს — 90—100 გ, ნახშირწყლებს — 400—450 გ.

ღილი მნიშვნელობა აქვს კვების რეჟიმის დაცვას. აღამიანი, მითუმეტეს, თუ მას აწუხებს-კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, საკვებს უნდა ღებულობდეს ერთსა და იმავე საათებში, 3—4-ჯერ დღეში (თუ არ არის სხვა სიხშირით კვების სპეციალური ჩვენება). საკვები ისე უნდა განაწილდეს, რომ მოცულობისა და კალორიულობის მიხედვით საუზმეზე მოდიოდეს დღის რაციონის 30—35 %, საღილზე — 35—40 %, სამხარზე — 5—10 %, ვახშამზე — 15—20 %.

ავადმყოფს უნდა ახსოვდეს, რომ სამკურნალო კვება ბევრად განსხვავდება რაციონალური კვებისაგან. დაავადების ხასიათისა და მიმღინარეობის მიხედვით საჭირო ხდება სხვადასხვა სახის შეზღუდვები. ამის გამო ზოგიერთი საკვება შეიძლება ისეთი გემრიელი და სრულლირებულოვანი არც იყოს, როგორც რაციონალური კვების დროს. ზოგიერთი ავადმყოფი ვერ ეგუება დიეტურ კვებას. დიეტაზე ყოფნა

ხომ დროებითი ღონისძიებაა და ოც უფრო ზუსტად შევასრულებთ ექიმის მიერ დანიშნული დიეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მით უფრო მაღე მოგვეცემა რაციონალურ კვებაზე გადასვლის საშუალება. ექიმს არ შეუძლია მუდმივად აკონტროლოს ავადმყოფი როგორ იცავს იგი დიეტას. ავადმყოფი თვითონ უნდა იცნობდეს დიეტური კვების პრინციპებს და თავად უწყობდეს ხელს საკუთარი ჯანმრთელობის დროულად აღდგენის საჭმეს. არც ისაა სწორი, რომ ზოგიერთი ავადმყოფი წლების განმავლობაში პედანტური სიზუსტით იცავს ექიმის მიერ ოდესლაც დანიშნულ მკაცრ დიეტას. დიეტა არ უნდა იყოს ტრაფარეტული, მუდმივი და შეუცვლელ „სასჯელი“. საჭიროების დროს აუცილებელია მისი მკაცრი დაცვა, ხოლო ნაჩვენებ შემთხვევებში რაციონალურ კვებაზე დროული გადასვლა.

სამკურნალო კვების პრინციპები ემყარება სამედიცინო აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს. ცალკეული სისტემისა და ორგანოს დაავალებათა მიხედვით შემუშავებულია შესაბამისი დიეტა. პრაქტიკაში მათი გამოყენების გაადვილების მიზნით დიეტა დანომრილი და უნიფიცირებულია. ყველა დიეტის მიხედვით წინასწარ განსაზღვრულია რომელი პროდუქტების გამოყენება შეიძლება, როგორი უნდა იყოს მათი კულინარული დამუშავების წესი, ქიმიური შემაღვენლობა, კალორიული ლირებულება და სხვ.

მოწოდებულია შემდეგი დიეტები:

დიეტა № 1 ინიშნება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავალებისა და ქრონიკული გასტრიტება დროს (უპირატესად მომატებული მუავიანობის დროს). ამ

დიეტის მიხედვით იზღუდება კუჭის ლორწოვანი გარსის მე-
 ქანიკურად, ქიმიურად და თერმულად გამლიზიანებელი სა-
 კვები. ამიტომაც კერძები უნდა მოიხარშოს წყალსა ან
 ორთქლზე. წვნიანი კერძები მზადდება უბრალო წყალზე და
 არა ხორცის ნახარშზე (ხორცის ნახარში კუჭის წვენის გამო-
 ყოფას აძლიერებს). იკრძალება კერძებში სანელებლებისა და
 საკმაზების ხმარება, მნიშვნელოვნად იზღუდება სუფრის მა-
 რილის რაოდენობა. საკვების ტემპერატურა არ უნდა იყოს
 10° -ზე დაბალი და 60° -ზე მაღალი.

წყლულოვანი დაავადებისა და ქრონიკული გასტრიტების
 გამწვავებისას ავადმყოფს ენიშნება ამ დიეტის № 1 ა და № 13
 ვარიანტები, რომელთა მიხედვით უფრო მკაცრი შეზღუდვე-
 ბია გათვალისწინებული. დაავადების რემისიის (ჩაცხრომის)
 პერიოდში, კურორტული მკურნალობის დასაწყისში ავად-
 მყოფს ენიშნება № 1 დიეტა, მოგვიანებით კი თანდათანობით
 უმცირდება შეზღუდვა, ჯერ ზიგზაგებით (სხვა დიეტებიდან
 საკვების ამორჩევით), შემდეგ კი საბოლოოდ ენიშნება რაციო-
 ნალური მაგიდა (დიეტა № 15).

დიეტა № 2 ენიშნება ქრონიკული გასტრიტით დაავადე-
 ბულს, რომელსაც დაქვეითებული აქვს კუჭის წვენის მუავია-
 ნობა. ამ დიეტის მიხედვით იკრძალება მექანიკურად გამლი-
 ზიანებელი უხეში საკვები, ქიმიური გამლიზიანებლებიდან კი
 მხოლოდ ისეთები, რომლებსაც შეუძლია კუჭის ლორწოვანი
 გარსის მკვეთრი გალიზიანება (ძლიერ ცხარე საჭმელები). კუ-
 ჭის წვენის გამოყოფის სტიმულაციის მიზნით დასაშვებია
 მუავე, სუსტად დამარილებული საკვები, ხორცის, თევზის,
 ბოსტნეულის ნახარშებზე დამზადებული წვენიანი კერძები.
 ხორცი და თევზი შეიძლება შემწვარი სახითაც, მაგრამ მათ

შეწვისას არ უნდა წარმოიშვას უხეში ქერქი. № 2 დიეტაზე
მყოფ ავადმყოფს სუფრის მარილი არ ეზღუდება.

დიეტა № 3 რეკომენდებულია ყაბზობით მიმღინარე
ქრონიკული კოლიტის დროს. ნაწლავთა პერისტალტიკური
შეკუმშვების მოწესრიგებისა და მათი შიგთავსის დროული
გადანაცვლების მიზნით უპირატესობა ეძლევა ბოსტნეულს,
რძემჟავა პროდუქტებს, ხილს. კარგია თაფლისა და სხვა ტკბი-
ლეულის მიღება (თუ არ აღინიშნება ნაწლავებში გაზების
დაგროვება). პური უმჯობესია იყოს თალხი ან შავი, გამომ-
შრალი (წინა დღეს გამომცხვარი).

დიეტა № 4 ინიშნება ნაწლავების მწვავე ან გამწვავე-
ბული ქრონიკული ანთებითი დაავადებების, ფერმენტული
ლისპეფსიის (ფალარათის) დროს. დულილის პროცესის შე-
სამცირებლად იზღუდება ნახშირწყლები, უპირატესობა ეძ-
ლევა ცილოვან საკვებს. დიეტიდან სრულიად გამორიცხულია
ცხარე კერძები, ბოსტნეული, ხილი, რძე. დასაშვებია ხორცის
სუსტი ბულიონი, ავადმყოფს ეძლევა ორთქლზე მომზადებუ-
ლი ხორცის კატლეტი, მოხარშული თევზი, ახალი ხაჭო, უც-
ხიმო ფაფები, კისელი, ასკილის ნაყენი, ლიმონის წვენი და
სხვ. პური მხოლოდ თეთრი, კარგად გამომშრალი, უმჯობესია
ორცხობილა.

დაავადების ძლიერი გამწვავებისას საჭირო ხდება უფრო
მკაცრი შეზღუდვები, ამიტომ ინიშნება დიეტა № 4.

დიეტა № 5 ნაჩვენებია ღვიძლისა და სანალვლე გზების
დაავადებათა დროს. ამ დიეტის მიზანია ხელი შეუწყოს ნაღვ-
ლის გამომუშავებასა და გამოყოფას. ამ პროცესს ხელს უწ-
ყობს რძის პროდუქტები „კარაჭი, ხაჭო, მაწონი, კეფირი, აგ-
რეთვე ბოსტნეული, მცენარეული ზეთი, უფრო მძლავრად

პოქმედი პროდუქტები (კვერცხი, ნიგოზი, მსუქანი ხორცი, არაუანი, ნატურალური რძე და სხვ.) ნაჩვენები არ არის, რა-დგან ისინი იწვევენ სანაღვლე გზების სპაზმურ შეკუმშვებს და ამასთან დაკავშირებით ტკივილს. იკრძალება აგრეთვე ექს-ტრაქტული ნივთიერებანი (ხორცის, თევზის, სოკოს მაგარი ნახარშები), საკვები იხარშება წყალსა ან ორთქლზე. ამ დიე-ტის მიხედვით ცხიმის საერთო შემცველობა დღის რაციონში უნდა შემცირდეს 70 გრამამდე. იკრძალება ცივი საკვების და სასმელის მიღება. ნაჩვენებია საკვების წილადობრივი მიღება (დღეში 4—5-ჯერ).

დაავადების გამწვავებისას, აგრეთვე კუჭუკანა ჯირკვლის (პანკრეასის) ფუნქციური უკმარისობისას ინიშნება ამ დიეტის ვარიანტები — № 5ა და № 5ბ, რომელთა მიხედვით ცხიმის რაოდენობა უფრო მეტად იზღუდება ცილებისა და ნახშირ-წყლების მომატების ხარჯზე. ფერმენტული დისპეფსიისა და მეტეორიზმის დროული ლიკვიდაციის მიზნით დიეტიდან გა-მორიცხული უნდა იქნეს კარტოფილი, უმი ბოსტნეული და რძე.

დიეტი № 6 ინიშნება პოლაგრისა და შარლმუავა დიათე-ზის დროს. ამ დიეტის დროს ავალმყოფს ეძლევა უმთავრესად მცენარეული საკვები და რძის პროდუქტები. იკრძალება პუ-რინებით მდიდარი პროდუქტები (საჭონლის შიგნეული, ხბოს ხორცი, კაკაო, შოკოლადი, და სხვ.). ბოსტნეულიდან უნდა ვამოირიცხოს მჟაუნა, ისპანახი, ლობიო.

დიეტი № 7 ნაჩვენებია თირკმლების ისეთი დაავადებე-ბის დროს, როდესაც დარღვეულია თირკმლების გამოყოფითი ფუნქცია (ნეფრიტი, ნეფროზი). ნებადართულია რძის პრო-დუქტია (ნეფრიტი, ნეფროზი). ნებადართულია მხოლოდ კარგად მო-დუქტები და ბოსტნეული. დასაშვებია მხოლოდ კარგად მო-

ხარშული ხორცი და თევზი. საჭმელი მზადდება სუფრის მარილის გარეშე.

დიეტა № 8 რეკომენდებულია სიმსუქნის სამკურნალოდ. ამ დიეტით იზღუდება ცხიმები და ნახშირწყლები. სითხე, სუფრის მარილი. საკვები უნდა იყოს ნაკლებკალორიული (1500—1700 კალ.), ნაჩვენებია ბოსტნეული (კომბოსტო), მთარშული ხორცი, შავი პური, ხაჭო, ხილი ვაშლი), კარგი შეღავი მოაქვს განტვირთვის დღეებს (მაწონი, ვაშლი).

დიეტა № 9 ენიშნებათ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს. იკრძალება ტკბილეული, იზღუდება ფქვილის ნაწარმი. ნებადართულია ხორცი, თევზი, კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები, ბოსტნეული (კარტოფილის, ჭარხლის, სტაფილოს გაკლებით), ხილი (უპირატესად ვაშლი), შავი პური, შვრია, წიწიბურა; რაციონის ქიმიური შემადგენლობა და კალორიულობა დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და მის მიმდინარეობაზე.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნახშირწყლების იმაზე მეტი რაოდენობით მიღება, რაც ეჭიმის მიერ აქვს დანიშნული ავადმყოფს.

თუ ავადმყოფი მკურნალობს ინსულინით, ნახშირწყლები შედარებით ნაკლებად იზღუდება. ამ შემთხვევაში ინიშნება № 9 ა დიეტა.

დიეტა № 10 გათვალისწინებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ. ამ დიეტაზე მყოფთ ეძლევათ შერეული საკვები ქოლესტერინისა და ექსტრაჭტული ნივთიერებების შემცველი პროდუქტების შეზღუდვით. იზღუდება აგრეთვე სუფრის მარილი და სითხე.

დიეტა № 14 ნაჩვენებია საშარდე გზების დაავადებების

დროს, ფოსფატურიისა და ოქსალურიის დროს. ნებადართულია ხორცეული, ბოსტნეული, ხილი, დიდი რაოდენობით სითხე.

დიეტა № 15 საერთო რაციონალური მაგიდაა.

თუ ავადმყოფს რამდენიმე დაავადება აწუხებს, დიეტა ენიშნება ჭირითადი დაავადებების მიხედვით, მაგრამ გარკვეული სახეცვლილებებით.

რიგ შემთხვევებში საჭირო ხდება ინდივიდუალური დიეტის შედგენა.

დიეტური კვება ერთყეროვანი და მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, თითოეულ დიეტაზე შედგება 7 დღიანი მენიუ, რომლის მიხედვით ავადმყოფი წინასწარი დაკვეთით ღებულობს მისთვის სასურველ ჭერის ნებადართული დიეტიდან.

სანატორიულ-კურორტული რეჟიმი ერთ-ერთ სამკურნალო ფაქტორად ითვლება. ორგანიზმზე მისი დადებითი ზემოქმედების არსი შემდეგში მდგომარეობს: კურორტული მკურნალობის პერიოდში ავადმყოფი გარკვეული ხნით მოცილებულია ცხოვრებისა და შრომის აღრინდელ პირობებს, რომლებიც მასზე შეიძლება უარყოფითად მოქმედებდა. სანატორიუმში შექმნილი სიმყუდროვე, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ყურადღებიანი მოპყრობა, კვების, დასვენებისა და მკურნალობის სპეციალური რეჟიმი, კურორტის სილამაზე, მისი სამკურნალო მინერალური წყლებისა და სხვა ფაქტორების თერაპიული ზემოქმედების რწმენა ხელს უწყობს ავადმყოფის ხალისიანი გუნებგანწყობის აღდგენას, ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების მობილიზაციას, რაც კეთილსასურველ ფონს ქმნის აღამიანის გამოჯანმრთელებისათვის. ბალნეოკლიმატურ კურორტებზე და მათ შორის ბორჯომ-

ში, სადაც მკურნალობის ძირითად პროფილს საჭმლის გამზუ-
 ლებელი ორგანოების დაავადებები შეადგენს, დღის განრიგი
 და საერთოდ სანატორიულ-კურორტული რეუიმი ისეა შემუ-
 შავებული, რომ ავადმყოფს საშუალება ეძლევა მაქსიმალუ-
 რად ისარგებლოს მისთვის ნაჩვენები ყველა სამკურნალო
 ფაქტორით, პირველ რიგში სასმელი მინერალური წყლით.

ორგანიზმის ბევრი სასიცოცხლო ფუნქცია რიტმული
 ხასიათისაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში აღამიანი ნებსით თუ
 უნებლიერ არღვევს კვების, შრომისა და დასვენების, ძილისა
 და სიფხიზლის რიტმს. სანატორიუმში ყოფნისას ავადმყოფ
 რაც უფრო ზუსტად დაიცავს მისთვის დაწესებულ რეუიმს,
 მით უფრო აღვილად და მოკლე ვადაში მოწესრიგდება ორგა-
 ნიზმში რიტმული მუშაობა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასე-
 თი მაგალითი: ჯანმრთელ ორგანიზმში კუჭის წვენის გამოყო-
 ფა რიტმულად იცვლება, იგი ძლიერდება საკვების მიღებისას.
 დროთა განმავლობაში ასეთი რიტმი იმდენად მტკიცდება, რომ
 კუჭის წვენის გამოყოფა ძლიერდება მაშინაც კი, როდესაც
 ჭამის დრო დგება, თუნდაც საკვების მიღება არ მოხდეს. ასე-
 თი მდგომარეობა, რაც კვების რეუიმის დარღვევასთანაა და-
 კავშირებული, დიდხანს თუ გაგრძელდა შეიძლება კუჭის
 წვენში არსებულმა მარილმჟავამ და საკვების მომნელებელმა
 ფერმენტებმა ცარიელი კუჭის ლორწოვანი გარსი გააღიზია-
 ნოს და მისი ანთება — გასტრიტი გამოიწვიოს.

სანატორიუმში კვების რეუიმის დაცვა, უდავოა, ხელს შე-
 უწყობს კუჭის სეკრეციული ფუნქციის რიტმის აღდგენას.

ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა ან სხვა პირობების
 გამო ყველა ავადმყოფს ერთნაირად არ შეუძლია შეასრულოს



სანატორიულ-კურორტული რეჟიმის საერთო სქემა. ამ გვერდზე დანართის მიურნალი ექიმი ცალკეულ ავადმყოფს უნიშნავს ინდივიდუალურ რეჟიმს, რომელიც შეიძლება იყოს დაზოგვითი, მატონიზირებელი ან წვრთნითი. დაზოგვითი, ანუ № 1 რეჟიმი (როგორც ეს კურორტზეა მიღებული) ენიშნებათ დასუსტებულ ავადმყოფებს ან დაავადების გამწვავებისას, როდესაც არ შეიძლება ავადმყოფის ფიზიკური მოძრაობითი და სამკურნალო პროცედურებით სრული დატვირთვა. მატონიზირებელი, ანუ № 2 რეჟიმის მიხედვით ავადმყოფს ეძლევა სრული დატვირთვა. იგი მონაწილეობს მსუბუქ სპორტულ შეჯიბრებებსა და შორეულ ექსკურსიებში. მკურნალობის პირველ დღეებში უფრო ხშირად დაზოგვითი რეჟიმი ინიშნება, მოგვიანებით კი მატონიზირებელი.

სამკურნალო დაწესებულებები კურორტ გორჯომაში

საბაზო სანატორიუმი „ლიკანი“ მდებარეობს რვინიგზის ბორჯომ-ბალის სადგურიდან 3 კმ-ის დაშორებით იშვიათი სილამაზის ფიჭვნარი — ტყით დაფარულ შემაღლებულ ტერიტორიაზე. სანატორიუმი გაშლილია 620 საწოლზე. აქვს ორი კეთილმოწყობილი საძილე და ერთი ბალნეოფიზიოსამკურნალო კორპუსი. სანატორიუმის პროფილია საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და ნივთიერებათა ცვლის მოშლასთან დაკავშირებული დაავადებები. ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. აქვს კეთილმოწყობილი და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი მრავალი დიაგნოსტიკური და სამკურნალო კაბინეტი, მათ შორის ტალახსამკურნალო. საბაზო და სანატორიუმი მეთოდურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს კურორტ ბორჯომის სანატორიუმებსა და რესპუბლიკის ამავე პროფილის კურორტებს (ჯავა, უწერა, სირმე და სხვ.).

სანატორიუმს აქვს საკუთარი სამკურნალო მინერალური წყლის ბიუვეტი.

საკურორტო პოლიკლინიკა მდებარეობს ბორჯომ-ბალის ცენტრში. იგი მოთავსებულია კურორტის სასტუმროს პირველ სართულზე. აქვს კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, რენტგენის, ფუნქციური დაგნოსტიკის, სტომატოლოგიური, ყელ-ყურ-ცხვირის, გინეკოლოგიური, ქირურგიული, უროლოგიური და სხვა კაბინეტები.

პოლიკლინიკა ემსახურება ამბულატორიულ ავადმყოფებს აქვე ორგანიზებულია კურორტი მკურნალობის საკურსე ბარათების (საგზურების) შეძენა ნალდ ანგარიშზე.

პოლიკლინიკასთან არსებობს პანსიონატი 200 საწოლზე, რომელიც იმავე სასტუმროშია განლაგებული.

პოლიკლინიკას ექვემდებარება ბალნეოფუზიოსამკურნალო, რომელიც ემსახურება კურორტის ცენტრში განლაგებული სანატორიუმების, პანსიონატებისა და ამბულატორიული სექტორის ავადმყოფებს.

აქ მკურნალობენ აგრეთვე ტალახით, პარაფინით, წყლისა და ელექტროფიზიოპროცედურებით, ინჰალაციით, სუბაკვალური აბაზანებით, მასაჟით და სხვ.

სანატორიუმი „ფირუზა“ შედგება ორი კორპუსისაგან. ძირითადი კორპუსი გაშლილია 100 საწოლზე, ფუნქციონერებს მთელი წლის განმავლობაში. მეორე კორპუსი შედარებით პატარაა (85 საწოლით), მდებარეობს მინერალური წყლების პარკში შესასვლელთან, ფუნქციონირებს სეზონურად — აპრილიდან ოქტომბრამდე.

სანატორიუმს აქვს კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, რენტგენის, სტომატოლოგიური, სამკურნალო ფიზკულტურისა და მასაჟის კაბინეტები. დიაგნოსტიკური გამოკვლევები და სამკურნალო პროცედურები ავადმყოფებს უტარდებათ საკურორტო პოლიკლინიკის ბაზაზე.

პანსიონატი „ბათუმის“ მდებარეობს მდინარე შტკვრის მარცხენა მხარეს, გაშლილია 200 საწოლზე, ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში, აქვს კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, უზ-

რუნველყოფილია მინერალური წყლის ბიუვეტით. დანარჩენი დიაგნოსტიკური გამოკვლევები და სამკურნალო პროცედურები ავადმყოფს უტარდებათ საკურორტო პოლიკლინიკის ბაზაზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს სანატორიუმი „ბორჯომ-ლიკანი“ მდებარეობს რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ის დაშორებით. გაშლილია 160 საწოლზე. იშვიათი სილამაზის ტყე-პარკში განლაგებულია სანატორიუმის კომფორტაბელურად მოწყობილი 7 საძილე და 1 ახლადაგებული სამკურნალო კორპუსი. უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი დიაგნოსტიკური და სამკურნალო კაბინეტით.

სანატორიუმის ტერიტორიაზე მოქმედებს მინერალური წყლის ბიუვეტი.

კურორტზე ჩამოსულ ავადმყოფ-დამსვენებელთა განკარგულებაშია სასტუმრო „ბორჯომი“.

ბორჯომში არის მრავალპროფილიანი რაიონული ახალი საავადმყოფო, რაიონული პოლიკლინიკა, ბავშვთა პოლიკლინიკა, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერი, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური.

ბორჯომში ფართოდაა გაშლილი ახალი ობიექტების მშენებლობა. 1974—1975 წლებში მწყობრში ჩადგება ორი კომფორტაბელური სანატორიუმი (ბორჯომის ცენტრსა და ლიკანში) და ერთი პანსიონატი (პლატოზე). ამით საკურორტო ქსელს კიდევ 1400 საწოლი შეემატება.

მიმდინარე წელს გაიხსნება ახალი სასტუმრო.

კურორტ ბორჯომში მკურნალობის ჩვენიგაბი და ფინანსურული ფუნქციები

კუჭის დავადებები: ქრონიკული გასტრიტება კუჭის მომატებული, ნორმალური და დაქვერთებული სეკრეციული და მოტორულ-ევაკუაციური ფუნქციათ (გამწვავების გარეშე);

კუჭის ფუნქციური დავადებანი; კუჭისა და თორმეტგოჯანაწლავის წყლულოვანი დავადებანი (გამწვავებისა და სისხლდენისადმი მიღრეკილების გარეშე);

წყლულის გამო ნაოპერაციევი კუჭის დავადებანი, ოპერაციის შემდგომი გასტრიტები, ანასტომოზის დავადებანი და სხვ. ოპერაციიდან არაუადრეს 2 თვისა).

ნაწლავების დავადებები: წვრილი და მსხვილი ნაწლავების ქრონიკული ანთებითი დავადებები: ენტერიტი, კოლიტი, ენტოროკოლიტი (გამწვავების გარეშე);

ნაწლავების ფუნქციური დავადებები (დისკინეზია).

ღვიძლის, სანალვლე გზებისა და კუჭუკანა ჯირკვლების დავადებები: ღვიძლისა და სანალვლე გზების ქრონიკული ანთებითი დავადებები: ჰეპატიტი, ქოლესიტიტი, ანგიოქოლიტი, ბოტკინის დავადების შემდგომი პერიოდი (სიუვითლისა და ხშირი გამწვავების გარეშე).

ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დავადება ხშირი გამწვავებისა და სანალვლე გზების დახშობის გარეშე.

ნაღვლის ბუშტისა და სანალვლე გზების დისკინეზია (მოტორულ-ევაკუაციური ფუნქციის გაუკულმართება).

ნივთიერებათა ცვლის დაავადებები: შექმნა
რიანი დიაბეტი (მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები;
პოლაგრა;
სიმსუქნე,
მარილოვანი დიათეზი: ურარტურია და ოქსალურია.

თანახლები დაავადების სახით
ნაჩვენებია:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: ა) ათეროს-კლეროზული ან მიოკარდიტული კარდიოსკლეროზი (სისხლის მიმოქცევის უკმარისობის გარეშე ან 1 ხარისხის უკმარისობით).

- ა) სხვადასხვა ეტიოლოგიის მიოკარდიოდისტროფია;
 - ბ) ჰიპერტონიული დაავადება (I და II სტადია).
- ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი (ნევრასთენია).

შარდის გამომყოფი გზების დაავადებანი (შარდის მუავი რეაქციით).

- ა) ქრონიკული პიელიტი, ცისტიტი, პიელიცისტიტი;
- ბ) თირკმლებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადება (მცირე ზომის კენჭებით).

სუნთქვის ორგანოების დაავადებანი:

- ა) ქრონიკული ბრონქიტი;
- ბ) ბრონქული ასთმა (მსუბუქი ფორმა).

შინააღმდეგის გენერაცია:

უკელა ის დაავადება, რომლებიც საერთოდ წინააღმდეგნაჩენებია კურორტული მკურნალობისათვის: მწვავე ინფექციური, ვენერული, ფსიქიკური დაავადებანი, ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმსივნეები, ორსულობა ტოქსიკური მიმდინარეობით (აგრეთვე ნორმალური ორსულობა მე-7 თვიდან).

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ძლიერი გამწვავების ფაზაში, განმეორებითი მასიურა სისხლდენა გართულებისას.

საყლაპავი მილისა და კუჭის პილორუსის სტენოზი (ორგანული შევიწროვება).

რიგიდული და ანტრალური გასტრიტები.

კუჭის პოლიპოზი (ან სოლიტარული პოლიპის არსებობა).

ლვიძლის ციროზი (ასციტით და სიყვითლით).

სანალვლე გზების დახშობით გამოწვეული სიყვითლე.

ნეფრიტი და ნეფროზი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი, რომელთაც ახლავს სისხლის მიმოქცევის უკმარისობა II ა ხარისხზე მეტი ან სტენოკარდიული ხშირი შეტევები.

თავის ტვინის სისხლძარღვების სკლეროზი (I და II ხარისხის).

გრონქული ასთმა — ხშირი შეტევებით.

შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმები (ძლიერი დაუძლურებით, მნიშვნელოვნად გამოხატული აციდოზით ან პრეკომატოზული მდებარეობით.

ეპილეფსია.

ტურისტული და სამშენებლო მარშრუტები

ბორჯომის ხეობა საკმაოდ მდიდარია ისტორიული მნიშვნელობის აღგილებითა და საინტერესო სანახაობებით. კურორტზე საექსკურსიო საქმეს ხელმძღვანელობს საექსკურსიო ბიურო. შორეული ექსკურსიები ეწყობა ორგანიზებულად კომფორტული ავტობუსებით, მცოდნე და გამოცდილი ექსკურსიამძლოლების და კულტორგანიზაციორების ხელმძღვანელობით.

კურორტის ტერიტორიაზე არსებული საექსკურსიო ობიექტებიდან დავასახელებთ ზოგიერთს:

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელშიც საკმაოდ მდიდარი მასალაა შეგროვილი კურორტის წარსულისა და დღევანდელი ყოფის შესახებ. მუზეუმი მდებარეობს კურორტის ცენტრში.

დიდების მუზეუმი დიდი ხანია არაა რაც გაიხსნა მინერალური წყლების პარკში (ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უძველესი ჰიდროელექტროსადგურის ყოფილ შენობაში).

მინერალური წყლის ჩამომსხმელი და უფრის ჭარხნები და სხვ.

სასარგებლო და საინტერესოა ფეხით გასეირნება და დათვალიერება ისეთი აღგილებისა, როგორიცაა პეტრეს და გოგიას ისტორიული ციხეები, სოფელ ლიკანის უძველესი მონასტერი, ჩითახევის მწვანე მონასტერი, მინერალური წყლების პარკი და მდინარე ბორჯომულას თვალწარმტაცი ხეობა, სადგურის პლატო და სხვ.

ინტერესს მოკლებული არ არის საკურორტო ობიექტები-

დან პროფესიული ლიკანის საბაზო სანატორიუმისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს I მთავარი სამმართველოს ლიკანის სანატორიუმების ლამაზი ტყე-პარკებისა და თვით შენობა-ნაგებობების გაცნობა-დათვალიერება.

შორეული საექსკურსიო მარშრუტებიდან აღსანიშნავია საკავშირო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო სპორტული სადგურის, მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბაკურიანის დათვალიერება. იგი წლის ყოველ დროს ერთნაირად ხიბლავს მნახველს. ბაკურიანში მგზავრობა მოსახერხებელია როგორც ავტომანქანით, ისე ვიწროლიანდაგიანი ელექტრიფიცირებული რკინიგზით. მანქილი ბორჯომიდან ბაკურიანამდე 30 კმ-ია. გზა მეტად ლამაზია, გავლით შეიძლება დათვალიერებული იქნეს კლიმატობალნეოლოგიური კურორტი წალვერი, აგრეთვე მატერიალური კულტურის ისტორიული ჭევლი — ტიმოთეს უბნის ტაძარი (XII—XIII საუკ.).

ბაკურიანიდან 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს კლიმატური სადგური ციხისჯვარი თავისი თერმულ-გოგირდოვანი მინერალური წყაროებით, ხოლო ცოტა მოშორებით მაღალმთიანი ცხრაწყაროს გადასასვლელი. აქ მოდიან ზაფხულში დილით ადრე, რათა იხილონ მზის ამოსვლა და მისი სხივებით განათებული კავკასიონის თვალწარმტაცი პანორამა იალბუზის, ყაზბეგის, უშბის და თეთნულდის თოვლით დაფარულა მწვერვალებით. ძნელია შეედაროს რომელიმე სხვა საექსკურსიო ადგილი ვარძიას.

ვარძია კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქია, აგებული XII საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში. მანქილი ვარძიამდე საკმაოდ დიდია (112 კმ), მაგრამ იმდენი საინტერესო ისტო-

რიცხვი ძეგლისა და სანახაობის დათვალიერება შეიძლება,
რომ დაღლილობას არავინ იგრძნობს.

ბორჯომიდან წლის ყველა დროს სისტემატურად ეწყობა
სამანქანო ექსკურსიები სურამში (30 კმ), სადაც ამ ლამაზი
კურორტის გაცნობასთან ერთად დამსვენებლები ათვალიერე-
ბენ ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკა!
სახლ-მუზეუმს.

და, ბოლოს, ბორჯომიდან 75 კმ-ის დაშორებით ქ. გორში
ექსკურსანტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ი. ბ. სტალი-
ნის სახლ-მუზეუმს, ეცნობიან მისი ბავშვობის, ყრმობისა და
რევოლუციური საქმიანობის ამსახველ მასალებს.

გ ი ნ ა ა რ ს ი

კურორტის განვითარების ისტორიისათვის	3
კურორტის სამკურნალო ფაქტორები	15
კლიმატი	15
პიდროვეოლოგია და სამკურნალო მინერალური წყლის ჭიმია	19
ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური თვისებები	
და მისი სამკურნალოდ გამოყენების მეთოდები	24
ბორჯომის სამკურნალო მინერალური წყლის მეცნიერული	
შესწავლის შედეგები	28
ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალოდ გამოყენების	
მეთოდები	39
ზოგიერთი ჩანაწერი მინერალური წყლით მკურნალობის დროს,	
როცა მას სასმელად ვიყენებთ	40
ბორჯომის მინერალური წყლის გარეგანი გამოყენება	48
კურორტული მკურნალობის სხვა სახეები	49
სამკურნალო დაწესებულებები კურორტ ბორჯომში	64
კურორტ ბორჯომში მკურნალობის ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები	67
ტურისტული და საექსკურსიო მარშრუტები	70

რედაქტორი შ. ჭალაგანიძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. კანდელაკი
მხატვარი ნ. ლაფაჩი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ც. შველიძე
კორექტორი ნ. კირთაძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 20/V-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
2/XII-74 წ. საბეჭდი ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{32}$, პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 3,33 + ჩაუკრა 0,35. სააღრ.-საგამომც. თაბახი 2,95.
უე 08678. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 927.

ფასი 48 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახუმის
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4, Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.



ეროვნული ცენტრული ბიბლიოთეკა



K 44.581/2